# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 17 მაისი 2008 №111 (3335) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მესამე და ზესტაფონი!

## ლოკომოტივთან, ამერთან, ამერთან და მაინც ამერთან



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ცოტა კიდევ დაველოდოთ...



ბრანკო ივანკოვიჩმა შემოთვალა, ცოტაც დამელოდეთ, პასუხს შემოგითვლითო

საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ვინაობა გუშინაც უნდა გარკვეულიყო, მაგრამ დღესდღეობით საამპოსტოდ ყველაზე რეალურმა კანდიდატმა, ხორვატმა ბრანკო ივანკოვიჩმა საბოლოო პასუხი ისევ დააყოვნა.

მოგეხსენებათ, ბრანკო ივანკოვიჩი თბილისში ამას წინათ იმყოფებოდა, აქაური საფეხბურთო პირობებით, როგორც ამბობს, კმაყოფილი დარჩა და დაიბარა: პასუხს ერთ კვირაში, ათ დღეში ვიტყვიო. ამასობაში ხორვატმა სპეციალისტმა ზაგრების „დინამოდან“ და გერმანული და ფრანგული კლუბებისგან მიიღო საინტერესო, როგორც ჩანს, მაცდური წინადადებები. ივანკოვიჩს სლოვენიურ ლიუბლიანაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავაც უნდა შეხვედროდა, მაგრამ მწვრთნელისვე თხოვნით, არც ეს შეხვედრა შედგა. ივანკოვიჩმა, თავადვე დაგიკავშირდებითო...

მოკლედ, ხორვატისგან ბოლო სიტყვა, ერთი კვირის წინ რომ უნდა ეთქვა, ჩაიბარებს თუ არა, ჩვენს ეროვნულ გუნდს, ისევ უცნობია.

ითანამშრომლებენ თუ არა ბრანკო ივანკოვიჩი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ეს დღეს გაირკვევა.

**კობა ინასარიძე**

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
### ფინალი



# ზესტაფონო, მოვედი!

# ახალი თასი იმერული მაყრულით

**თბილისი. 16 მაისი. 20 საათი. ეროვნული. 25 000 მაყურებელი**

**ამერი 1:2 ზესტაფონი**

0:1 ონიანი (57), 0:2 ბ. გოცირიძე (62), 1:2 ტატანაშვილი (88)

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, მემარნიშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე (ტატანაშვილი 65), დოლიძე (ჩიმაკაძე 83), დობროვოლსკი, დიდავა, დეკანოსიძე, შალამბერიძე (ა. ალავიძე 60), რ. გოცირიძე
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; სილაგავა, მესხი, დ. მჭედლიშვილი
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**ზესტაფონი:** რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, უ. ლობჟანიძე, საჯაია, აკუასაგა, კესანი, რ. ონიანი, გ. ხიდეშელი, ვიეირა (იონანიძე 85), ბ. გოცირიძე (შ. ღონღაძე 81), ნ. კვასხვაძე (დაუშვილი 72)
*სათადარიგონი:* ჭანტურია; სანტოსი, ბიტოო, გელაშვილი
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** კესანი (41), დიდავა (68), ხიდეშელი (72), აკუასაგა (78), დობროვოლსკი (87)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი, ლ. მიქელაძე, გ. ვადაჭკორია

**დამკვირვებელი:** ა. მილჩენკო; **დელეგატი:** ნ. კაკულია



**კობა ინასარიძე**

**მესამე** და სამართალი — ზესტაფონელ ქომაგებს შარშანდელი ფინალისას ასეთი პლაკატი გამოეფინათ და იმედოვნებდნენ, რომ მათი გუნდი საქართველოს თასს მესამე ჯერზე მაინც მოიპოვებდა. მაშინ იმერლებს არაფერი გამოუვიდათ და ახლა, ზედიზედ მეოთხე ფინალის წინ ისევ აღმოსავლეთ ტრიბუნიდან ხალხს ახალი სლოგანი დაანახეს — გადავარჩინოთ ფეხბურთი! ზესტაფონელებისთვის სწორედ ამ სიტყვებს ჰქონია მაგიური ძალა, თბილისის „ლოკომოტივთან“ და ორჯერ „ამერთან“ წაგებული ფინალების შემდეგ, როგორც იქნა, მათი სიხარულის ჟამი დადგა. ენა არავის მოუბრუნდება, თქვას, რომ გუშინ „ზესტაფონი“ თასს არ იმსახურებდა, იმსახურებდა და ალალად მოიგო კიდეც — „ზესტაფონმა“ ნანინანატრი თასი ჩაიბარა.

იმერულმა გუნდმა იმიჯთან ერთად მწვრთნელი თემურ მახარაძეც გადაარჩინა, რომელისთვისაც ეს მესამე ფინალი იყო და მესამედაც ხელმოცარვის შემთხვევაში, ალბათ, გუნდის დატოვებაც მოუხდებოდა. მაგრამ სხვანაირად მოხდა, „ზესტაფონისთვის“ ყველაფერი ისე აეწყო, უკეთესს რას ინატრებდა...

„ამერს“ გუშინ თავდამსხმელი სულიკო დავითაშვილის გარეშე მოუწია თამაშმა, რაც „ყვითლების“ შეტევით პოტენციალს აშკარად დაეტყო. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდის დამხმარე პოზიციაზე გიორგი ჩიხრაძემ გიორგი დეკანოსიძე გაამწესა. ამით კი ძალა თბილისელთა შუა ხაზს მოაკლდა, ვინაიდან დეკანოსიძე ორ საქმეს ერთად ველარ აუვიდა. ტრავმის გამო გუნდს ვერც მცველი ლადო კაკაშვილი დაეხმარა, ხოლო გივი დიდავას ფეხი აწუხებდა და ისეთი ეფექტური ველარ იყო, როგორც ადრე.

„ზესტაფონი“ კი უძლიერესი შემადგენლობით გამოვიდა და აკი მატჩიც სწორედ მათი უპირატესობით დაიწყო.

თემურ მახარაძემ „ამერს“ სტაბილური, ნაცადი შემადგენლობა დაუპირისპირა. „ზესტაფონმაც“ ერთი ფორვარდით ითამაშა, თუმცა ბექა გოცირიძეს მოგვარე მეტოქე, კოლეგა რევაზ გოცირიძისგან განსხვავებით, ზურგი უფრო გამაგრებული ჰქონდა. ფლანგებიდან ნიკა კვასხვაძე და ჟილვან ვიეირა აქტიურობდნენ და თბილისელებს პრობლემას არ აკლებდნენ.

„ზესტაფონს“ დაწინაურება მატჩის დასაწყისშივე შეეძლო. უკვე მე-2 წუთზე უჩა ლობჟანიძის პასი მარჯვენა ფლანგზე კვასხვაძემ მიიღო და კარის გასწვრივ ჩააწოდა. წინა ძელთან ბურთს ბექა გოცირიძე ვერ შესწვდა, თუმცა იქვე ვიეირა სრულად მარტო აღმოჩნდა. კარიც თითქმის ცარიელი იყო, მაგრამ სასწაულებრივად მისი დარტყმული უზუსტო გამოდგა.

„ამერის“ პასუხი კობა შალამბერიძის შეტევა იყო, რომელიც სუსტი დარტყმით დამთავრდა.

ნახევარი საათი ისე მიილია, „ზესტაფონი“ მეტწილად სწორედ მარჯვნიდან უტევდა, „ამერი“ კი პირველი შესაძლებლობისთანავე კარისკენ ურტყამდა. შემდეგ თბილისელთა კართან ორ-სამ წუთში შექმნილი რამდენიმე ძალიან მწვავე, მაგრამ უშედეგო შეტევა ვნახეთ.

როგორც ფინალური მატჩებიდან ნაჩვევნი ვართ, ამ მატჩის პირველი ტაიმი სანახაობრივად არაფრით გამოირჩეოდა, მეტიც, მონოტონური, ზედმეტად ტაქტიკური და მოსაწყენი იყო.


„ზესტაფონი“ როინ ონიანის ამ გოლით დაწინაურდა

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ფინალი

თამაში შესვენების შემდეგაც ასე განახლდა, მეტოქეები საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უფრო მეტს, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ამაზე ფიქრობდნენ და მატჩიც, ალბათ, ასევე გაგრძელდებოდა 57-ე წუთზე ზესტაფონელთა კაპიტან როინ ონიანს რომ არ ემარჯვა: იმერელთა შეტევა მარცხნიდან დაიწყო, გიორგი ხიდეშელმა პირით ხაზთან ბურთი ვიეირას მიაწოდა, მან კი კარის წინ მეტოქისთვის უხერხულად ჩააწოდა. როგორ და რანაირად, რა გითხრათ, ფაქტი კია, ვიეირას ჩაწოდებულს ერთბაშად სამი ზესტაფონელი კარის შორეულ ძელთან დახვდა. მათი დამკავებელი ამერელთაგან არავინ გამოჩნდა, კაპიტანმაც ისარგებლა და თავურით თავისიანები დააწინაურა...





„ამერი“ დიმიტრი ტატანაშვილის ამ გოლსღა გამორჩა

ჩიხრაძემ მაშინვე სათადარიგოებს გახედა. „ამერი“ აშკარად საჭიროებდა თავდასხმის გაძლიერებას და ვიფიქრეთ, რომ მწვრთნელი საქმეში გუნდის მთავარმეგოლე დიმიტრი ტატანაშვილს ჩართავდა, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, მან ფლანგელ ნახევარმცველ არჩილ ალავიძეს უხმო.

ეს იყო და, „ზესტაფონმა“ მეორეც გაიტანა. სადღაც ცენტრის ხაზთან დანიშნული ჯარიმიდან ბურთი „ამერის“ საჯარიმოში ხიდეშელმა ჩაჰკიდა. ხიფათი თითქოს არ ჩანდა, მაგრამ ბურთი ყველა ამერელს გადააფრინდა, რომელიც ისევ პირით ხაზთან ედიკ საჯაიამ მოიგო და თავით კარის წინ შეაბრუნა. ამერელთაგან იქაც არავინ იყო და უკვე ბექა გოცირიძემ იხეირა... თამაშის დამთავრებამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე „ზესტაფონმა“ ორბურთიანი უპირატესობა მიიღო და „ამერის“ სათასო შანსებიც მინიმუმამდე შემცირდა.



ზესტაფონელმა მცველებმა რევაზ გოცირიძეს გასაქანი არ მისცეს

მეორე გოლის შემდეგ კი ჩიხრაძემ ტატანაშვილსაც დაუძახა. შევიდა ის მოედანზე და ერთი ხიფათიც როინ კვასხვაძის კართან მაშინვე შექმნა. „ამერი“ დაფაცურდა, რასაც თემურ მახარაძემ შეცვლით უპასუხა, ნიკა კვასხვაძის ნაცვლად ჩამშლელ შუახაზელ მურთაზ დაუშვილს უხმო. ცოტა ხანში „ზესტაფონის“ თავკაცმა მოედანი ვიერას და ფეხმტკივან გოცირიძესაც დაატოვებინა.

მართალია, 85-ე წუთზე მატჩში გამოცდილი ფორვარდი ზურაბ იონანიძეც ჩაერთო, მაგრამ რამდენიმე წუთი „ზესტაფონი“ მთლად უთავდამსხმელოდ იყო და წინ სირბილი სწორედ დაუშვილს უხდებოდა. ერთხელ კი სრულიად პარადოქსული სიტუაციაც შეიქმნა — ზესტაფონელებმა „ამერის“ კარიდან დაახლოებით 30 მეტრში ჯარიმის უფლება მოიპოვეს. ჯარიმის დარტყმა იონანიძემ ითავა, მის წინ კი მხოლოდ „ამერის“ ალმართული ცოცხალი კედელი და მეკარე იდგნენ. იონანიძის გარდა თითქმის ყველა ზესტაფონელი თავის ნახევარზე იყო. ისე, ასეთ ვითარებაში „ზესტაფონს“ ვერც ვერავინ გაამტყუნებს, გუნდი ორბურთიანი სხვაობით იგებს მატჩს და საფინალო სასტვენამდე სულ 4-5 წუთია დარჩენილი. თანაც წმინდა სპორტულის გარდა ზესტაფონელთა ფსიქოლოგიური მდგომარეობაც ხომ გასათვალისწინებელია — სამი წაგებული ფინალის შემდეგ ზესტაფონელ ფეხბურთელებს საქართველოს თასი უკვე თვალწინ ედგათ...

„ამერმა“ კი მაშინღა გარისკა, როცა მატჩი თითქმის უკვე წაგებული იყო და გადარჩენის შანსი იოტისოდენა დარჩენოდა. თბილისელებმა „ზესტაფონის“ საჯარიმოს შორეული ჩაწოდებები დაუშინეს, ამათგან ერთს, თენგიზ ჩიკვილაძის ამავე მისამართით გაგზავნილ ბურთს კი სწორედ ტატანაშვილი შესწვდა და თავურით მოხდენილი გოლი გაიტანა.

თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთი კიდევ იყო, „ზესტაფონი“ თითქოს აიჭრაო, „ამერი“ კი შეგულიანდა და მოედანზე ვითარებაც უკიდურესად დაიძაბა. ბოლო წუთებზე თბილისელები ერთ გოლთანაც ახლოს იყვნენ, მაგრამ... წინა 90 წუთის ლოგიკით „ზესტაფონს“ უნდა მოეგო და ასეც მოხდა. მერე კი ზესტაფონმაც გაიხარა და „ზესტაფონმაც“. მათ ეს დაიმსახურეს, ალალი იყოს და ერთი მილოცვაც ჩვენგან მიიღონ!

### პრესკონფერენცია

პრესკონფერენცია ტრადიციული მილოცვით დაიწყო, გიორგი ჩიხრაძემ თემურ მახარაძეს გამარჯვება მიულოცა, მერე კი კომენტარების ჯერი დადგა...

*თემურ მახარაძე:* აქამდე ზედიზედ სამი ფინალი წავაგეთ და, შეიძლება ითქვას, უკან დასახევი გზა არ გვქონდა. კარგად ვითამაშეთ და გავიმარჯვეთ. ჩვენთან ერთად ახლა მთელი ზესტაფონი ზეიმობს. კლუბმა ბაზის მშენებლობა უკვე დაიწყო, კიდევ უფრო გაძლიერებას ვაპირებთ და გარწმუნებთ, უეფას თასზე ღირსეულად ვითამაშებთ.

*გიორგი ჩიხრაძე:* მეტოქეს კიდევ ერთხელ ვულოცავ გამარჯვებას. ძალიან საინტერესო და დაძაბული მატჩი იყო. ჩვენს შეცდომებზე მოდი, არ ვილაპარკებ. ორი გოლის გაშვების მერე სამი თავდამსხმელით ვითამაშეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ანგარიშის გათანაბრება ვერ მოვახერხეთ.





ბექა გოცირიძის საგოლე თავური

# შოთა არველაძე რეალით ამთავრებს

— ესპანეთის პრიმერას ბოლო ტურში ითამაშებ?

— დიახ. ვვარჯიშობ და ამ მატჩისთვის ვემზადები. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ვამთავრებ კარიერას, აი, ეს კი ძალიან მომწონს. გოლი თუ შევაგდე, განსაკუთრებულად გამიხარდება.

— „ლევანტეც“ ხომ არ აპირებს შენთვის რამე გაცილებისმაგვარს?

— არა, აქ ამისთვის ვის სცალია, ვალებს ველარ აუდიან...

— ორიოდ დღის წინ სხვადასხვა წყაროებში დაიწერა, შესაძლოა, „ლევანტემ“ უარი თქვას „რეალთან“ მატჩზეო. გვესმის, რომ ეს ტაქტიკური ხერხია, მაგრამ გამოდის, ხელფასები ისევ არ აგილიათ ფეხბურთელებს?

— იმდენად ვარ ჩემს საქმეებში ჩაფლული, რომ ზუსტად არც ვიცი, მოგვარდა „ლევანტეში“ ეს პრობლემა თუ არა. ერთი ეგ ვიცი, რომ ხვალ მადრიდში ჩავდივართ და ვითამაშებთ... არა მგონია, ამ დონემდე გამწვავდეს სიტუაცია.

— 3 ივნისის თამაშზე უცხოელთა ნაკრებს ვინმე ხომ არ შემატებია ან გამოჰკლებია?

— გამოკლებით არავინ. შესაძლოა, დაემატოს რამდენიმე ფეხბურთელი. ედგარ დავიდსმა მითხრა, ჩამოვალო. ასევე, ჰოლანდიელებმა, დანი კუვერმანსმა და დენი ლანძაატმა (შოთას თანაგუნდელები „ალკმაარში“) გამოთქვეს ჩამოსვლის სურვილი. ორივე ჰოლანდიის ნაკრების გაფართოებულ სიაშია ევროპის ჩემპიონატისთვის, თუმცა, შესაძლოა, 23-კაციან განაცხადში ვერც ლანძაატი მოხვდეს და ვერც კუვერმანსი...

ერთი ესპანელი ფეხბურთელიც ჩამოვა — „რეალში“ ნათამაშევი ხავიერ არტერო, რომელიც შოტლანდიურ „დანდიშიც“ იყო გიორგი ნემსაძის დროს.



## თუ ბრანკო ივანკოვიჩი არა? არის ერთი ძალიან რეალური

**3 ივნისამდე და 3 ივნისსაც შოთა არველაძეს მოცლა არ ექნება: ხუმრობა საქმე როდია ამდენი ვარსკვლავის ჩამოყვანა თბილისში... შოთა უამრავ საორგანიზაციო საკითხშია ჩაფლული და გუშინ დანანებით გვითხრა — კარგია, მიხარია, რომ ჩემი გასაცილებელი მატჩი უნდა ჩატარდეს, მაგრამ მერე რა მეშველება, რალაც ვერ წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება ფეხბურთის გარეშეო. და სანამ 3 ივნისი მოვა, შოთა ერთხელაც ითამაშებს, თანაც რა ლეგენდარულ სტადიონზე და რა ლეგენდარულ გუნდთან — 18 მაისს საქართველოს ნაკრების ისტორიაში საუკეთესო თავდამსხმელი და ბომბარდირი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მადრიდის „რეალთან“ ბოლო ოფიციალურ მატჩს ჩაატარებს...**

— ადრე რაულის შესაძლო ჩამოსვლაზეც გვითხარი. მით უმეტეს, ახლახან საბოლოოდ გადაწყდა, რომ ევრო 2008-ზე ვერ ითამაშებს...

— რაულს პირადად არ ვიცნობ. ჩემი აგენტის ბაირამ თუთუმლუს მეშვეობით შეიძლებოდა მისი ჩამოყვანა, მაგრამ ახლა ნერვებმოშლილი იქნება, ევროპის ჩემპიონატზე რომ არ წაიყვანეს. არ ვიცი, რა გამოვა ამ საქმიდან.

— ესპანეთში ხარ და უკეთ გეცოდინება, რატომ გადაეკიდა ლუის არაგონესი რაულს? ძალიან საკვირველია, რაული კონფლიქტური ფეხბურთელი არ არის და...

— რასაც აქ ლაპარაკობენ, იქიდან ვიცი, რომ არაგონესმა რაულის ჩრდილქვეშ ყოფნა იყნოსა. მათ შორის რალაც მოხდა ბოლო ვარჯიშზე — რაული რალაცაში შეეწინააღმდეგა მწვრთნელს და ამის გამო არაგონესმა აითვალწუნაო. სამწუხაროდ, ეს არცთუ იშვიათი შემთხვევაა ფეხბურთში.

— ახლა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თემასაც შევეხოთ...

— ბრანკო ივანკოვიჩის უარის შემთხვევაში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას რამდენიმე ვარიანტი აქვს და, რაც ნაღდად ვიცი, ერთ მწვრთნელთან გაგზავნილია წინადადება და მოლაპარაკებაც დაწყებულია. ახლა მის გვარს ვერ გეტყვით. ივანკოვიჩზე კი რა გითხრათ — დიდი შანსია, უარი თქვას.

— ის მწვრთნელი, რომელზეც შენ თქვი, დანიელი მორტენ ოლსენი ხომ არ არის?

— არა, ოლსენი ამოღებულია სიიდან...

— შენ რას აპირებ 3 ივნისის შემდეგ? ლუის ვან გაალმა „ალკმაარში“ თანამშრომლობა შემოგთავაზა და ხომ არ გადაგიწყვეტია?

— ჯერ არა. „ალკმაარის“ გარდა, უცხოეთიდან სხვა შემოთავაზებებიც მაქვს, ოლონდ მწვრთნელობას არ ეხება — გუნდის მართვაზეა ლაპარაკი.

— და საქართველოს ნაკრების თავკაცის თანამშრომლობა? როდის გააკეთებ არჩევანს?

— 3 ივნისს ვან გაალი თბილისში რომ ჩამოვა, უფრო უკეთ გავიგებ, რა და როგორ იქნება. ჯერ მიჭირს არჩევანის გაკეთება. ჩემთვის მთავარია, უსაქმოდ არ დავრჩე, პრაქტიკა მჭირდება.

**ილია ნანობაშვილი**

# მგონი, პენალტს საერთოდ აღარ დავარტყამ

## დავით სირაძემ დარჩენა გადაწყვიტა



**რუსეთის პრემიერლიგაში მცირე პაუზაა და იქ მოთამაშე ქართველებიც შვებულებას სამშობლოში ატარებენ. ყველაზე ადრე დასვენება ნალჩიკის „სპარტაკის“ ფეხბურთელებს მოუწიათ, რადგან ყაბარდოელებმა ბოლო ტურის მატჩი გამოტოვეს. ნალჩიკელთა თავდამსხმელ დავით სირაძეზე რუსული პრესა წერდა, რომ კლუბთან კონტრაქტი მაისის ბოლოს უმთავრდება და ხელმძღვანელობა მის გაგრძელებას აპირებსო. სირაძესთან საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ...**

— კონტრაქტი სეზონის ბოლომდე მაქვს გაფორმებული. უბრალოდ, ხელშეკრულებაში დევს პუნქტი, რომლის თანახმად, მაისის ბოლოს შემეძლო კლუბის დატოვება, მაგრამ ორივე მხარეს გვსურს ურთიერთობის გაგრძელება და ჩემპიონატის დასრულებამდე ნალჩიკში ვითამაშებ. რა მოხდება შემდეგ, ჯერ არ ვიცი...

— რუსულ პრემიერლიგას როგორ შეეგუე?

— ნელ-ნელა ვეჩვევი. ადაპტაცია ყველა ჩემპიონატს სჭირდება. თავიდან ცოტა კი გამიჭირდა, მაგრამ ბოლო სამი თამაშია, ვატყობ, მოვუმატე. უკვე ყველაფერი გამომდის გოლის გარდა.

— გოლის გატანაც შეგეძლო, „რუბინთან“ მატჩის ბოლო წუთზე პენალტი გაგიცუდდა...

— ზედიზედ მეორე პენალტი გავაფუჭე — ერთი ნაკრებში და ერთი ნალჩიკში. მგონი, საერთოდ აღარ დავარტყამ.

— ნალჩიკელთა მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა თქვა, პენალტი სირაძეს არ უნდა დაერტყაო...

— წესით, ჯუდოვიჩს უნდა დაერტყა, მაგრამ ჩემი წაქცევისთვის იყო დანიშნული და ალეკო ამისულაშვილმა მითხრა, დაარტყიო, მეც დავარტყი, მაგრამ...

— ამ ფაქტის გამო მწვრთნელს საყვედური ხომ არ უთქვამს?

— არა, პირიქით, მწვრთნელმაც და ფეხბურთელებმაც გამამხნევეს. არანაირი გართულება არ მოჰყოლია.

— „ნალჩიკი“ სტუმრად უკეთესად თამაშობს, ვიდრე შინ. კავკასიური გუნდისგან ცოტა გასაკვირია...

— თავიდან მართლა ვერ ავაწყვეთ საშინაო შეხვედრები და სტუმრად უკეთ ვთამაშობდით. ბოლოს კი გუნდმა აშკარად მოუმატა და შინაც დავიწყეთ მოგება. ვფიქრობ, კიდევ უფრო მოვუმატებთ.

— კლუბის ხელმძღვანელობას რა მიზნები აქვს დასახული?

— მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა გაგვიჭირდება, მიზანი ათეულში შესვლაა.

— რუსეთში მოთამაშე სხვა ქართველებზე რას იტყვი?

— ლევან გვაზავა „ლუჩ-ენერგიაში“ პირველი კაცია, დავით კვირკველიაც სტაბილურად თამაშობს თავის გუნდში. ჩვენთან ორივეს გაუჭირდა თამაში — „რუბინსაც“ და „ლუჩსაც“ 2:0 მოვუგეთ. დავით მუჯირი იშვიათად ჩნდება მოედანზე, ასევეა მალხაზ ასათიანიც — ერთი მატჩი ითამაშა სრულად „ლუჩ-ენერგიასთან“, მეორე ცენტრალურ მცველსაც აშკარად სჯობდა, მაგრამ მომდევნო მატჩში რატომლაც მაინც სათადარიგოთა სკამზე დატოვეს.

— შენი თანაგუნდელები არ გიხსენებია...

— გოგიტა გოგუა გუნდის ლიდერია, ამისულაშვილი კი სტაბილურად თამაშობს. ორჯერ ზედიზედ სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. რუსეთში ეს კარგი მაჩვენებელია.

— როგორ ფიქრობ, სანაკრებოდ ამისულაშვილის გამოძახება დროულია?

— ნაკრებში მაღალი დონის ცენტრალური მცველები გვყავს, მაგრამ ალეკოც თავდაჯერებულად და უშეცდომოდ თამაშობს. ვფიქრობ, თუ დაუძახებენ, კარგი იქნება.

— ერთ კვირაში ნაკრებს შეკრება ეწყება, შენ არ მიგილია მიწვევა?

— ჯერჯერობით არ შემხმიანებიან.

— როგორ ფიქრობ, ახალი შესარჩევი ეტაპის წინ ნაკრებში მწვრთნელის შეცვლა გუნდზე როგორ იმოქმედებს?

— ნაკრებში მწვრთნელი რომ დასანიშნია, ფაქტია, მაგრამ ამ შესარჩევ ეტაპზე ვინც უნდა იყოს, ჩვენ ყველანაირად უნდა შევეცადოთ, წარმატებით ვითამაშოთ. ბრძოლა რომ შეგვიძლია, წინა შესარჩევის რამდენიმე მატჩშიც გამოჩნდა. თუ ცოტა იღბალიც დაგვეხმარება, ალბათ, შევძლებთ კარგი შედეგის მიღწევას.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# პლეი ოფი

რუსთავი. 18 მაისი. 16.30 საათი. ფოლადი

## მაღაროელი — გაგრა




## ვინ იტყვის პლეი ჰოპს?

**ხვალ** რუსთავში საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონების გამარჯვებულები, ჭიათურის „მაღაროელი" და „გაგრა" ერთმანეთს უმაღლესი ლიგის საგზურს შეეცილებიან.

ჭიათურელებმა დასავლეთ ზონაში დიდი უპირატესობით იმარჯვეს — 27 თამაშში 67 ქულა დააგროვეს, უახლოესმა მდევარმა, ტყიბულის „მეშახტემ" კი ოდენ 44 ქულა მოიხვეჭა.

„მაღაროელს" ბურთების შეფარდებაც შთამბეჭდავი აქვს — 57:17.

აღმოსავლეთ ზონაში „გაგრას" მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონია. აგარის „მეშაქრე" ერთხანს ლიდერობდა კიდეც ჩემპიონატს, თუმც ფინიშისკენ გაგრელები უკეთესად ათამაშდნენ და პლეი ოფშიც ისინი არიან.

ეს გუნდი ზედიზედ მესამედ გავიდა პლეი ოფში. წინა ორი მარცხიანი გამოდგა — პირველად „ცხინვალმა" აჯობა (ის მატჩი დიდი ჩხუბით დასრულდა). მეორედ კი საჩხერის „ჩიხურა" ჰყავდა მეტოქედ და უმაღლეს ლიგამდე ზემოიმერლებმა აღარ მიუშვეს. თავად საჩხერელებმა კი შემდეგ სამონაწილეო თანხა ვეღარ გამოძებნეს და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ პირველ ლიგაში უკრა თავი.

„გაგრას" მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჭიაბრიშვილმა რამდენიმე დღის წინ გვითხრა, პლეი ოფს მესამედ ვთამაშობთ, სამი ღვთიური ციფრია და ამჯერად საწადელს მივაღწევთო.

„მაღაროელს" კი უმაღლესი ლიგა სულაც არ უკვირს, ორჯერ უთამაშია და ახლა მესამედაც უნდა ავიდეთო, ამბობს ჭიათურელთა დამრიგებელი ბადრი ბრეგვაძე.

სხვათა შორის, წლეულს ზემოიმერლებმა საქართველოს თასის გათამაშებაშიც გამოიჩინეს თავი და რამდენიმე უმაღლესლიგელიც გაამწარეს — ჯერ ბოლნისის „სიონი" დაიფრინეს, მერე ჯგუფურ ეტაპზე „ვიტ ჯორჯია" და „ლოკომოტივი" ჩატოვეს ჯგუფში და „დინამოსთან" ერთად, მეოთხედფინალში გავიდნენ, სადაც „ამერს" ვეღარაფერი მოუხერხეს.

ასე რომ, რუსთავში დიდი ბრძოლა იქნება.

აქვე გეტყვით, რომ დამარცხებულს ერთი შანსი კიდევ ექნება — 24 მაისს გადათამაშებაში ან თბილისის „ლოკომოტივს" შეხვდება, ან ცხინვალის „სპარტაკს".

**ნუგზარ ლოლაძე**




საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და იმერეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის დამსახურებული მუშაკი, ვეტერანი ფეხბურთელი და მწვრთნელი
**გივი ფირცხალავა**

# ჟაკ სანტინიმ ტუნისი და ტუნისელი იუარა



**საფრანგეთის** ეროვნული ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ ტუნისის ნაკრების გაწვრთნა იუარა.

„მზად ვიყავი, რომ სამუშაოს 1 ივლისიდან შევდგომოდი, მაგრამ ამ ფაქტმა ტუნისის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა არ დააკმაყოფილა. გარდა ამისა, მათი მოთხოვნით, ჩემი ასისტენტი ადგილობრივი მწვრთნელი უნდა გამხდარიყო, არადა, თანაშემწედ ფრანგი სპეციალისტი მსურდა" — განაცხადა სანტინიმ.

ტუნისელები უმთავარმწვრთნელოდ ფრანგი როჟე ლემერის წასვლის შემდეგ დარჩნენ.

შეგახსენებთ, რომ სანტინი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატად ითვლება, თუმცა მისი დანიშვნა ნაკლებსავარაუდო ჩანს.

**კახა შალამბერიძე**

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
## პირველი ლიგა. 27 ტური

### დასავლეთი

**სამტრედია 0:0 ხობი**

**სამტრედია:** ხურციძე, გოგია, გუბელაძე, კვესეიშვილი, ქობალია, ჩომახიძე, დ. გაბედავა, ა. ივეჩიანი, კრავეიშვილი (სუნიაევი 75), ბაკარანძე (თელია 89), ეცადეიშვილი (ა. ადეიშვილი 65)
*სათადარიგონი: ამაღლობელი, ნინუა, გ. რუხაძე, მამულაშვილი*
მწვრთნელი: ბადრი ქორიძე
**ხობი:** ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ფარფალია, დ. ჭითანავა, ა. კვირკველია, კუტალია, კ. გოგენია (ჩაჩანიძე 73), ლეფსაია, სამსეიშვილი, ღლონტი (გვეტაძე 37), სართანია (გაგუა 66)
*სათადარიგონი: ლ. ჭითანავა, ალანია, ლატარია, მ. შონია*
მწვრთნელი: ლევან ნოდია
გაფრთხილება: ქობალია
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი
300 მაყურებელი

**კოლხეთი 3:0 მერანი (მ)**

1:0 ციკოლია (19), 2:0 ხიზანიშვილი (34), 3:0 ციკოლია (36)
**კოლხეთი:** გ. შენგელია, დ. ნარსია, გ. სიჭინავა, ლუსტა, ცხვიტარია, აბურჯანია (გეგელია 67), გვიჩია (გოგონაია 55), გოგნაძე, გ. კილასონია, ციკოლია, ხიზანიშვილი
*სათადარიგონი: ჩემია, მეგრელიშვილი, დ. მოისწრაფიშვილი, ღვანია, ი. მოისწრაფიშვილი*
მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი
**მერანი (მ):** ლ. ძაგანია, ჩხიკვაძე, აქუბარდია, ფარცვანია (ბეგოიძე 46), კვიტატიანი, წოწორია, გოგუა, ლ. ჩალაძე, შ. მუმლაძე, ლომია (ტ. ჟღენტი 46), ციცხვაია
*სათადარიგონი: ცაგარეიშვილი, კ. ძაგანია, ო. რუხაძე, პაპადოპულოსი, შეროზია*
მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია
გაფრთხილება: კვიტატიანი, სიჭინავა, ცხვიტარია
მსაჯი: გ. დოგრაშვილი
150 მაყურებელი

**ზესტაფონი 2 0:3 ტორპედო**

0:1 გაბუნია (44), 0:2 ქათამაძე (65), 0:3 ფერაძე (72)
**ზესტაფონი 2:** ჯალალონია, ხიხაძე, ხუმარაშვილი, შარანგია, გელაჭეიშვილი (ბ. ცხადაძე 66), ბუკია, საცერაძე, გორგიაშვილი, კამლაძე (ბერუაშვილი 56), სოფრომაძე (გ. ნემსაძე 66), გაბრიჩიძე
*სათადარიგონი: ო. ბოჭორიშვილი, სურმავა, ა. ლაბაძე, ნებიერიძე*
მწვრთნელი: მალხაზ ლონლაძე
**ტორპედო:** დ. მემარნიშვილი, გაბუნია, ვაჩიბერაძე, ხაბურძანია, დათიაშვილი, ლურსმანაშვილი, ფერაძე, სირაძე (ქიმუცაძე 74), გოდერიძე, გოგიბერაშვილი (მუკბანიანი 74), ქათამაძე (ნუცუბიძე 67)
*სათადარიგო: დ. ოდიშარია*
მწვრთნელი: დავით ჯანაშია
გაფრთხილება: ვაჩიბერაძე, ლურსმანაშვილი, ხუმარაშვილი
მსაჯი: ლ. სილაგავა
100 მაყურებელი

**მაღაროელი 5:0 მეშახტე**

1:0 გამცემლიძე (7), 2:0 სეფერთელაძე (49), 3:0 მდივნიშვილი (56), 4:0 მიშველიძე (74), 5:0 სევასტოპულო (80)
**მაღაროელი:** მამარდაშვილი, მგელაძე, გ. შუკაკიძე (გაფრინდაშვილი 68), გ. ბრეგვაძე, ეგაძე, გ. ილურიძე (ბიბილაშვილი 73), გამცემლიძე (მიშველიძე 70), სეფერთელაძე, ი. ტყებუჩავა, სევასტოპულო, მდივნიშვილი
*სათადარიგონი: დოლაძე, მ. სამხარაძე, ცუცქირიძე, ჯაჯანიძე*
მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე
**მეშახტე:** თორთლაძე, წერეთელი (ჭელიშვილი 58), მ. ბოჭორიშვილი, ყურაშვილი, თევზაძე (გ. გვენეტაძე 40), ჩუბინიძე, ჯიშიაშვილი, მაჩალაძე, ხაჩიძე, გ. კირკიტაძე, მერკვილაძე
*სათადარიგო: გიორგაძე*
მწვრთნელი: დავით გვენეტაძე
მსაჯი: ვ. გუმბერიძე
200 მაყურებელი

**უნივერსიტეტი 3:0 ფაზისი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 27 | 21 | 4 | 2 | 56:17 | 67 |
| მეშახტე | 27 | 14 | 2 | 11 | 39:41 | 44 |
| მერანი (მ) | 27 | 13 | 5 | 9 | 36:25 | 44 |
| ზესტაფონი 2 | 27 | 12 | 4 | 11 | 39:28 | 40 |
| კოლხეთი | 27 | 11 | 7 | 9 | 36:33 | 40 |
| ტორპედო | 27 | 11 | 6 | 10 | 37:31 | 39 |
| ხობი | 27 | 10 | 8 | 9 | 35:27 | 38 |
| სამტრედია | 27 | 9 | 5 | 13 | 35:50 | 32 |
| უნივერსიტეტი | 27 | 9 | 3 | 15 | 24:29 | 30 |
| ფაზისი | 27 | 2 | 2 | 23 | 17:73 | 8 |

*„ფაზისი" მოხსნილია გათამაშებიდან*

### აღმოსავლეთი

**ოლიმპიკი 3:0 ნ. დინ-მერანი 2**

1:0 მაისურაძე (16), 2:0 გოგიაშვილი (51), 3:0 ცინცაძე (75)
**ოლიმპიკი:** ნ. დაუშვილი, ბებუა, გ. ალავიძე, გოგიაშვილი, ფურცელაძე (ცინცაძე 67), მაისურაძე, ოქრუაშვილი, შ. კვანტალიანი (გ. იაშვილი 64), ბელთაძე, თ. შონია, ლაზარტყავა (ღვინიაშვილი 46)
*სათადარიგონი: ემუხვარი, როსტომაშვილი*
მწვრთნელი: ლევან მელიქია
**ნ. დინ-მერანი 2:** გეგუაძე, ტოსტიაშვილი, ჯორჯიკია (ჩიტალაძე 8), ქუხილავა, დაბრუნდაშვილი, ხვთისავრიშვილი, გურჩიანი, ლონიაშვილი, კაკულია (გავაშელი 36), გვილია, ი. ქავთარაძე
მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე
გაფრთხილება: ჩიტალაძე, დაბრუნდაშვილი, შონია
მსაჯი: ზ. ასკაროლლი
100 მაყურებელი

**ჩიხურა 2:0 ამერი 2**

1:0, 2:0 მიქაძე (14, 17)
**ჩიხურა:** მწყერაშვილი, ზივზივაძე, ცარციძე, ხურცილავა, ვ. ზაბახიძე, დოლონაძე, ი. ზაბახიძე (მაჭარაშვილი 63), ჭილლაძე, ბ. პეტრიაშვილი (ივანიშვილი 87), მ. მიქაძე, გ. ენუქიძე (დ. ენუქიძე 80)
*სათადარიგონი: ბეგაშვილი, გულიაშვილი, ხვედელიძე*
მწვრთნელი: სოსო ფრუიძე
**ამერი 2:** გვენცაძე, კეკელია, ჯ. შუკაკიძე, ა. ადეიშვილი, ტ. ენუქიძე, გ. მუშკუდიანი, გ. ხელაძე (ვ. ჯელაძე 46), დ. სიჭინავა, გ. სიჭინავა, ხუციძე, ნ. ქებაძე (სარქისოვი 62)
*სათადარიგო: ნაჭყეპია*
მწვრთნელი: დავით მახარაძე
გაფრთხილება: დ. სიჭინავა
მსაჯი: ი. ურუშაძე
100 მაყურებელი

**კახეთი 0:3 გაგრა**

0:1 ძაგანია (18), 0:2 ხოკერაშვილი (34), 0:3 სეთურიძე (86)
*ბიძინაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (12)*
**კახეთი:** მარგოშვილი, ლომიძე, ტარუღაშვილი, ბედოიძე, კუპრაშვილი, შ. ლობჟანიძე (ლ. აბდულაევი 73), კეველიშვილი, ბიძინაშვილი, ბურდული (ჩუთლაშვილი 81), ლ. ტეტიაშვილი, ძამუკაშვილი (ახალბედაშვილი 87)
*სათადარიგონი: ზარქუა, ქუფარაშვილი, გ. ოთარაშვილი*
მწვრთნელი: გიგლა იმნაძე
**გაგრა:** ბათიაშვილი, ჩოჩია, ბ. ტეტუნაშვილი (სუხიშვილი 55), ბ. ყიფიანი, ლალიანი, ი. ხელაძე, ხოკერაშვილი (ყაზარაშვილი 57), მეტრეველი, ლ. სეთურიძე, კორიფაძე, ზ. ძაგანია (ჯალიაშვილი 46)
*სათადარიგო: ხომერიკი*
მწვრთნელი: გიორგი ჭიაბრიშვილი
გაფრთხილება: ჩოჩია, ტარულაშვილი, მეტრეველი
მსაჯი: ლ. კვარაცხელია
100 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 2 2:0 მეშაქრე**

**ვიტ ჯორჯია 2:** ლურბელეიშვილი, პირველი, ადამაძე, კასრაძე, კაიშაური (სორდია 50), მაისაშვილი, კვალინიძე, ინჯგია (ლანიაშვილი 46), ჯიქიძე, გ. ჯანელიძე, ბერიაშვილი (ვეკუა 71)
*სათადარიგონი: მიქაბერიძე, დვალაშვილი, როსტიაშვილი, ცხოვრებაძე*
მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი
**მეშაქრე:** ა. აბრამიშვილი, ახობაძე, დონდოლაძე, გაგნიძე, გ. თარგამაძე, ა. ჯანელიძე (გ. ლაცაბიძე 46), ფაილოძე, გ. ტყებუჩავა, ბ. გოცირიძე (ლ. კვარაცხელია 46), ი. სიხარულიძე, ჩიხლაძე (ლ. კობახიძე 79)
*სათადარიგონი: დერევიანჩენკო, ობგაიძე, გვარუციძე, ლ. ტყებუჩავა*
მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა
გაფრთხილება: ინჯგია, გაგნიძე
მსაჯი: მ. ბეუქრიშვილი
100 მაყურებელი

**დინამო 2 5:1 ოლიმპი 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 27 | 16 | 6 | 5 | 59:36 | 54 |
| დინამო 2 | 27 | 14 | 7 | 6 | 41:23 | 49 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 27 | 14 | 6 | 7 | 41:21 | 48 |
| მეშაქრე | 27 | 13 | 9 | 5 | 34:22 | 48 |
| ჩიხურა | 27 | 12 | 7 | 8 | 40:37 | 43 |
| ოლიმპი 2 | 27 | 9 | 8 | 10 | 34:41 | 35 |
| კახეთი | 27 | 10 | 4 | 13 | 38:41 | 34 |
| ამერი 2 | 27 | 9 | 2 | 16 | 42:44 | 29 |
| ოლიმპიკი | 27 | 7 | 4 | 16 | 38:52 | 25 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 27 | 1 | 7 | 19 | 20:70 | 10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელვის პრესლი ცოცხალია!

## ინგლისი

### ასოციაციის თასის ფინალი
### დღეს. ლონდონი. 18 საათი. „უემბლი“
### კარდიფი — პორტსმუთი

სავარაუდო შემადგენლობები

**კარდიფი:** ენკელმანი, მაკნაფტონი, ლოვენსი, ჯონსონი, კაპალდი, უიტინგემი, რაე, მაკფეილი, სინკლერი, ლედლი, ჰასელბაინკი

**მწვრთნელი:** დეივ ჯონსი

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ჯონსონი, კემპბელი, დისტინი, ჰრეიდარსონი, მუნტარი, დიოპი, კრანჩარი, უტაკა, კანუ, ბაროში

**მწვრთნელი:** ჰარი რედნაპი

**მსაჯი:** მაიკ დინი

**ასეთ** ფინალს ვერავინ წარმოიდგენდა.

ვინმეს რომ ეთქვა, ელვის პრესლი იპოვეს, ცოცხალია და მთვარეზე ცხოვრობსო, უფრო დაუჯერებდნენ, ვიდრე „კარდიფისა“ და „პორტსმუთის“ ფინალში გასვლის წინასწარმეტყველებას.

მაგრამ ჰარი რედნაპის და დეივ ჯონსის გუნდებმა ყველანაირი პროგნოზი გვერდზე გაწიეს და „უემბლიზე“ ინგლისურ-უელსური ფინალის მომსწრენი გავხდებით.

ეს მწვრთნელები და მათი გუნდები უდიდეს პატივისცემას იმსახურებენ, რადგან რომანტიკულობა დაუბრუნეს მსოფლიოს უძველეს სათასო შეჯიბრს, რომელიც პრემიერლიგაში მომრავლებული მილიარდელების გამო, ლამის ორიოსამი კლუბის საკუთრებად იქცა.

დასაფასებელია ჰარი რედნაპის გარჯა, რაკი ერთი პატარა კლუბი ანგარიშგასაწევ ძალად აქცია პრემიერლიგაში და საამო, შემტევ ფეხბურთსაც ათამაშებს.

და რაღა თქმა უნდა „კარდიფი“, რომელიც 24 მილიონი გირვაქა ვალის გამო ამ სეზონში გაკოტრების პირას იყო მისული.

„ფეხბურთელობისას ლიგის თასის ფინალში მითამაშია, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ მწვრთნელობისას ასოციაციის თასის მოგების შანსი მექნებოდა“—თქვა მწვრთნელმა დეივ ჯონსმა.

1927 წელს „კარდიფმა“ ფინალში „არსენალი“ დაამარცხა და ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა თასი ინგლისისდან უელსში წავიდა.

„პორტსმუთმა“ კი ეს ჯილდო 69 წლის წინ მოიგო, როცა „ვულვზს“ 4:1 სძლია.

ჰარი რედნაპის გუნდს მეგოლე ჯერმენ დეფო ვერ დაეხმარება, რადგან სათასო მატჩებში თამაშის უფლება არ აქვს. მეკარე დევიდ ჯეიმსი და მცველი სოლ კემპბელი გამოკეთდნენ და ძირითად შემადგენლობაში იქნებიან. შეტევაში ალბათ კანუ ითამაშებს, რომელსაც ჯონ უტაკა დაეხმარება. ნახევარდაცვის ცენტრში ადგილს პაპა ბუბა დიოპი დაიკავებს, რომელმაც „ფულემთან“ ბოლო ტურის მატჩისას დაისვენა.

„კარდიფის“ შემადგენლობაში კი ისეთი ბიჭები არიან, ერთ დროს პრემიერლიგაში რომ ბრწყინავდნენ. რობი ფაულერი, ტრევორ სინკლერი და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი. ფაულერი ცოტა ჯანს უჩივის და ალბათ სათადარიგოებში დასვამენ.

**ვაჟა ხუციშვილი**


ჰარი რედნაპი

ცოცქალიზაცორი

# 1X2 პამფსონეპი

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

| კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ |
|---|---|---|---|---|

— ამხელა კაცი ხარ და იმდენი ტვინი არა გაქ, ერთი ტაიმი რო გეყოს. „რეინჯერსის“ მოგება რამ ჩაგაწერინა, ტო?!

— აბა, რა ვიცი, ოთხშაბათ დილას რო გავიღვიძე, ტელევიზორი ჩავრთე და ის კინო გადიოდა, „დამოუკიდებლობის დღე“. უილ სმიტი რო დავინახე, „რეინჯერსის“ ტრეინერი უოლტერ სმიტი გამახსენდა. მამენტ მოვწვი, მეთქი ნიშანია, „რეინჯერსი“ უეჭველი იგებსთქო, დავგოიმდი და ასი ლარი არ გავაქანე?

— მაგრა გაგიქანებია, ჯიგარო, მაგრა. ეხლა ხო გრძნობ თავს დამოუკიდებლად? ერთი ეს მითხარი, გაზი გაქ სახლში?

— მერე?

— ფინალს ხო უყურე?

— კარგი რა, თუ ძმა ხარ, ფინტებით ნუ მელაპარაკები...

— ჰოდა თუ უყურე, „ზენიტს“ რო მაიკაზე გაზპრომი აწერია, ვერ დაინახე?

— შენი ჭირიმე, რა! გაზპრომი და ტრუბაპრავოდნი ვაისკა მინდა? ორშაბათამდე ასი ლარი უნდა ვიშოვო. ჩემმა ცოლმა კი არ იცის, პამპერსების ფული რო ავიღე სახლიდან.

— რაო?! იცი, რისი ღირსი ხარ? უნდა გაგაშიშვლონ, პამპერსი ამოგაცვან და გლაზგოდან მანჩესტერამდე გარბენინონ. თან მთვრალი შოტლანიელი უნდა მოგდევდეს.

რამ გამოგაპამპერსა ამხელა კაცი? ხო ნახე, რო გაზპრომმა „ზენიტს“ „ლევერკუზენიც“ უყიდა, „ბაიერნიც“ და „რეინჯერსის“ ყიდვა გაუჭირდებოდა? ლიჩნად დიკ ადვოკაატმა ჩაიტანა მაყუთი გლაზგოში. ეგ ადრე „რეინჯერსის“ ტრეინერი იყო და ამ საქმის გაჩალიჩება იკისრა. შენ რა გგონია, „ზენიტს“ ფინალამდე ჩემპიონატის სამი თამაში იმიტო გადაუდეს, რო დაესვენა? არ დაიჯერო, ძმაო, ეს ზღაპრები. ადვოკაატი მაგ დღეებში პეტერბურგიდან გლაზგოში დიდი ჩემოდნით დარბოდა, ერთი კი არა, სამი რეისი გააკეთა, გაიგე, შე ორნახევარზე ნაკლებო?

— კარგი რა, შენი დაგრუზვალა მინდა... ჩემი გამჭირვებია, ორი დღეა, პამპერსები მესიზმრება. თუ რამე იცი, დღეის და ხვალის თამაშებიდან ამომარჩევინე უეჭველები.

თერთმეტი კუში მინდა, ათ ლარს შევაგდებ, რო პამპერსის ფული გავაცოცხლო. „ინტერის“, პესეჟეს და „არმინიას“ ორიანები მაგრა მგონია. სამივეს ცვეტში ჭირდება. არ ფიქრობ?

— თუ ძმა ხარ, რა „ინტერი“, სად იპოვი ხოლმე ეგეთ ცუდ გუნდებს. ვერა ნახე, წინა ტურში როგორ იყომარა? ეგ გუნდი კი არა, დუქარდია, ორი კვირაა ხალხს პარსავს და ადიკალონსაც არ ასხამს. პესეჟე მაგაზე უარესი — მთელი სეზონი მაყუთი აკეთეს და ვერ გაძღნენ. მაგის ერთიანების დევნაში, კინაღამ პარიზში ჩავედი.

— აბა, რა დავწეროთ?

— აი, „არმინიას“ მოგებას ვწურავ „შტუტგარტთან“, იმენა ორიანი იკვეთება. ნახე, ტო, შარშან „არმინიამ“ ორივე თამაში მისცა და „შტუტგარტი“ ჩემპიონი გახდა. ეხლა „არმინიას“ სჭირდება და „შტუტგარტი“ უნდა დაუწვეს. კაროჩე ესე, ამას მივაბათ „სოკოლოვის“ ორიანი, „პუბლიკუმის“ მეტი და ეგ არი!

**ქუში ქოუშარია**

ჩემი ბილეთი: შედეგი:
001 კრჩი პრაღა — ჩასლავი გაიტანს სამივე
სავარაუდო მოგება:
მოგზაურობა ჩეხური ლუდის კასრში

114140 *

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. V ტური

იარო — როვანიემი 1:1; ჰონკა — ჰაკა 7:0; მარიეჰამნი — ვაასა 0:2; ინტერი — ჰიკ 1:1; კუოპიო — კტპ 2:0; ტამპერე — ლაჰტი 0:2; მიუპა — ტურკუ 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 13 |
| ლაჰტი | 5 | 4 | 0 | 1 | 7:3 | 12 |
| ჰიკ | 5 | 2 | 3 | 0 | 9:2 | 9 |
| მარიეჰამნი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| ჰონკა | 5 | 2 | 1 | 2 | 10:3 | 7 |
| მიუპა | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| ტურკუ | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| ვაასა | 5 | 1 | 3 | 1 | 2:1 | 6 |
| როვანიემი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:6 | 6 |
| იარო | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 |
| ჰაკა | 5 | 1 | 2 | 2 | 4:9 | 5 |
| კუოპიო | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 |
| ტამპერე | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | 3 |
| კტპ | 5 | 0 | 1 | 4 | 3:13 | 1 |

## დანია

### სუპერლიგა. XXXI ტური

მიდტიულანდი — ოდენსე 3:1; კოპენჰაგენი — ვიბორგი 3:0; ნორდსიელანდი — ლიუნგბიუ 0:0; რანდერსი — ჰორსენსი 0:0; ესბიერგი — ორჰუსი 0:1; ოლბორგი — ბრონდბიუ 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლბორგი | 31 | 20 | 5 | 6 | 56:38 | 65 |
| კოპენჰაგენი | 31 | 16 | 9 | 6 | 47:26 | 57 |
| მიდტიულანდი | 31 | 16 | 8 | 7 | 47:34 | 56 |
| ოდენსე | 31 | 12 | 15 | 4 | 45:24 | 51 |
| ჰორსენსი | 31 | 12 | 10 | 9 | 42:41 | 46 |
| ესბიერგი | 31 | 12 | 6 | 13 | 56:50 | 42 |
| ნორდსიელანდი | 31 | 11 | 9 | 11 | 46:47 | 42 |
| რანდერსი | 31 | 11 | 8 | 12 | 38:32 | 41 |
| ბრონდბიუ | 31 | 10 | 10 | 11 | 41:41 | 40 |
| ორჰუსი | 31 | 7 | 8 | 16 | 30:46 | 29 |
| ვიბორგი | 31 | 5 | 5 | 21 | 28:65 | 20 |
| ლიუნგბიუ | 31 | 3 | 9 | 19 | 32:64 | 18 |

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XI ტური

**ტომი 1:1 ლუჩ-ენერგია**

0:1 ტიხონოვეცკი (8), 1:1 სტრელკოვი (32)

**რუბინი 1:1 შინიკი**

1:0 კარადენიზი (57), 1:1 ბოიარინცევი (90)

**სპარტაკი 1:0 სატურნი**

1:0 პავლიუჩენკო (89პ)

**მოსკვა 1:1 კრილია**

0:1 იაროშიკი (13), 1:1 მაქსი ლოპესი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუბინი | 11 | 8 | 1 | 2 | 17:9 | 25 |
| სპარტაკი | 11 | 5 | 5 | 1 | 20:13 | 20 |
| ამკარი | 10 | 6 | 1 | 3 | 12:6 | 19 |
| ლოკომოტივი | 9 | 5 | 3 | 1 | 12:5 | 18 |
| კრილია | 11 | 4 | 4 | 3 | 15:11 | 16 |
| ცსკა | 9 | 4 | 3 | 2 | 11:7 | 15 |
| დინამო | 10 | 4 | 3 | 3 | 13:13 | 15 |
| ნალჩიკი | 10 | 4 | 1 | 5 | 9:11 | 13 |
| სატურნი | 11 | 3 | 3 | 5 | 11:11 | 12 |
| ტომი | 11 | 3 | 3 | 5 | 9:13 | 12 |
| ტერეკი | 9 | 4 | 0 | 5 | 8:14 | 12 |
| მოსკვა | 11 | 2 | 5 | 4 | 12:14 | 11 |
| შინიკი | 11 | 2 | 3 | 6 | 13:18 | 9 |
| ზენიტი | 6 | 1 | 4 | 1 | 7:7 | 7 |
| ლუჩ-ენერგია | 10 | 1 | 4 | 5 | 8:14 | 7 |
| ხიმკი | 10 | 1 | 3 | 6 | 13:24 | 6 |

## მექსიკა

### კლაუსურა. პლეი ოფი
### 1/4 ფინალი. I მატჩები

**ტოლუკა 1:1 სან ლუისი**

**ნეკაძსა 1:2 სანტოსი**

## ჩილე

### აპერტურა. პლეი ოფი
### 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი

**ატლეტიკო 2:1 კობრელოა (0:0)**

## აშშ

### მეიჯორ ლიგა. VIII ტური

**კოლორადო 2:0 სოლტ ლეიკი**

## ლიბერტადორესის თასი 2008

### მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

**სან ლორენსო (არგენტინა) 1:1 ლიგა დე კიტო (ეკვადორი)**

0:1 ბიელერი (35), 1:1 ა. გონსალესი (38)

**ამერიკა (მექსიკა) 2:0 სანტოსი (ბრაზილია)**

1:0, 2:0 ს. კაბანიასი (24, 62)

# ბედნიერი, მაგრამ მაინც




**კრიშტიანუ რონალდუც** კაი ოხერია: ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე განაცხადა, ეს თამაში რომ ჩამთავრდება, „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წასვლაზეც დავფიქრდებიო. არადა, მანჩესტერელებს, რომლებიც ოთხშაბათ საღამოს მოსკოვში „ჩელსისთან“ არკვევენ ევროპის ამა წლის უძლიერესი გუნდის ვინაობას, სწამთ, რომ პორტუგალიელი მათთან კარგა ხნით აპირებს დარჩენას.

23 წლის ვარსკვლავმა ისევ ესპანეთი ახსენა:

„ინგლისში თავს ბედნიერად ვგრძნობ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ ვნახოთ, რა მოხდება. ისე, აქ, მშვიდად ვარ, ოღონდ მომავლის საქმე როგორ იქნება, არ ვიცი. მილიონჯერ მითქვამს, რომ ესპანეთში თამაშზე ვოცნებობ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ოცნება ერთია, რეალობა კი მეორე“.

მოგეხსენებათ, ახლახან, აპრილში კრიშტიანუ რონალდუმ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ინგლისის ჩემპიონთა მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმაც მრავალჯერ აღნიშნა, რომ ამ ფეხბურთელზე გრძელვადიან იმედს ამყარებს, მაგრამ „რეალის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონი სეზონში 41 გოლის ავტორთან კონტრაქტის გასაფორმებლად, რაც კი ფული აბადია, ყველაფერს გაიღებს.

„ვიცი, „რეალს“ მოსწონს, როგორ ვთამაშობ, ჩემი შეძენა ესპანეთის სხვა გუნდებსაც სურთ და ეს ძალიან სასიამოვნოა“ — დასძინა ვარსკვლავმა.

**ბაკუნა ძიდია**

# ჰერტამ კაკა იყიდა

**ბერლინის** „ჰერტას“ მეხუთე ბრაზილიელი ემატება. ის 27 წლის გახლავთ და გერმანულ ბუნდესლიგაში პორტუგალიური „აკადემიკა კოიმბრადან“ გადადის.

„ჩვენ უკვე ყველა დეტალი შევათანხმეთ — განაცხადა „ჰერტას“ მენეჯერმა დიტერ ჰიონესმა — ერთადერთი, რაც ამ გარიგებას აკლია, მისი ხელმოწერაა“.

და, რაც ყველაზე სასეიროა, ბრაზილიელ მცველს ჰქვია კაკა, „მილანის“ საქვეყნოდ ცნობილი ვარსკვლავის სეხნიაა. მან ოთხშაბათს ბერლინში სამედიცინო შემოწმება გაიარა და მალე თანამემამულეებს, მინეიროს, რაფაელს, ლუსიოს და ანდრე ლიმას შეუერთდება.

**ბაკუნა ძიდია**



ოლივერ კანი

# კარის ლეგენდა პენალტს ითხოვს

**დიადი** კარიერის უკანასკნელ შეხვედრაში მიუნხენის „ბაიერნის“ გოლკიპერ ოლივერ კანს ოცნება აქვს, გოლის გატანა უნდა, ოღონდ კარგად ესმის, რომ საამისოდ ერთადერთი შანსი აქვს — პენალტი. და, როგორც გერმანულ ფეხბურთში ჩახედული ადამიანები ამბობენ, ახლა კითხვა ასე დგას: დართავს მიუნხენელთა მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი თავის მეკარეს ნებას, გადავსებული „ალიანც-არენას“ წინაშე პენალტი დაარტყას?

„ძალიან დაძაბული ვარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ დარტყმის საშუალება მომეცემა. ისიც კი ვიცი, რომელ კუთხეში უნდა დავარტყა“.

აღსანიშნავია, რომ კანს ერთხელ უკვე უცდია პენალტის დარტყმა. ეს 2002 წელს, „კოტბუსის“ წინააღმდეგ მატჩში მოხდა, როდესაც მიუნხენის გუნდი 6:0-ს იგებდა, მაგრამ მაშინ ოლის არ გაუმართლა, მეკარე ტომისლავ პიპლიცამ კუთხე გამოიცნო და დარტყმა მოიგერია. მას მერე კანს პენალტი აღარ დაურტყამს.

და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ჰიცფელდი არც დაარტყმევინებს.

„თუ იმ მომენტში, როდესაც პენალტს დანიშნავენ, ფრე იქნება, არა ვარ დარწმუნებული, რომ მის დარტყმას კანს მივანდობ. შესაძლოა, საამისოდ გამბედაობა არ მეყოს“.

და კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ საქმე კარიერის ბოლო თამაშს ეხება, კანს არ უნდა, რომ თამაშის დასრულებამდე შეცვალონ, რათა მოედანზე გასვლისას ტრიბუნები ფეხზე წამოუდგნენ.

„მიჯობს, ბოლომდე ვითამაშო — ამბობს ლეგენდა — გამომშვიდობებასთან პრობლემური დამოკიდებულება მაქვს. არ მიყვარს“.

**ბაკუნა ძიდია**

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ნიურნბერგი | : | შალკე |
| ლევერკუზენი | : | ვერდერი |
| ბაიერნი | : | ჰერტა |
| შტუტგარტი | : | არმინია |
| ჰანოვერი | : | კოტბუსი |
| დორტმუნდი | : | ვოლფსბურგი |
| ჰამბურგი | : | კარლსრუე |
| ბოხუმი | : | ჰანზა |
| აინტრახტი | : | დუისბურგი |

# გერმანია

# სტევენსის და ჰიცფელდის გაცილებისა იყოს

**ვინ ჩაყვება** მეორე ბუნდესლიგაში „დუისბურგს“ და „ჰანზას“? ვინ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე? ვინ მიიღებს უეფას თასის საგზურს? ამ კითხვებს დღეს ბოლო ტური უპასუხებს.

თუ ბილეფელდის „არმინია“ შტუტგარტში ქულაზე მეტს ვერ აიღებს და „ნიურნბერგი“ „შალკეს“ მოუგებს, ბილეფელდელები ბუნდესლიგას დაემშვიდობებიან და ელიტაში „ნიურნბერგი“ დარჩება.

მაგრამ თუ „არმინიამ“ სტუმრად „შტუტგარტს“ სძლია, რაც 1982 წლის შემდეგ ვერ მოუხერხებია, მაშინ „ნიურნბერგს“ „შალკესთან“ გამარჯვება ოხრად დარჩება და ქვედა ლიგას მიაშურებს.

აქვე ვთქვათ, რომ „შტუტგარტს“ დისკვალიფიკაციის გამო ფერნანდუ მეირა, „ხუმარებს“ კი მლადენ კრსტაიჩი დააკლდება.

თავის მხრივ, მოგება სჭირდება „შალკესაც“, რადგან თუ „ვერდერი“ ლევერკუზენში წააგებს, მაშინ გელზენკირხენელები მეორე ადგილზე გადავლენ, ჩემპიონთა ლიგის საგზურს მიიღებენ და საკვალიფიკაციო ეტაპს აიცილებენ.

აღსანიშნავია, რომ „ნიურნბერგს“ „შალკე“ ცხრა წელია, შინ თუ სტუმრად არ დაუმარცხებია.

ასევეა „შტუტგარტის“ საქმეც, რომელიც უეფას თასზე გასვლას ლამობს და აუცილებლად უნდა იმარჯვოს „არმინიასთან“ იმ იმედით, რომ მისი კონკურენტები ქულებს დაკარგავენ.

კონკურენტები კი ბევრნი არიან — „ლევერკუზენი“, „ჰამბურგი“ და „ვოლფსბურგი“.

ბრემენის „ვერდერს“ ლევერკუზენში ქულა სჭირდება მეორე ადგილის გასანაღდებლად, მაგრამ „მუსიკოსებს“ დაცვითი ფეხბურთი არ ეხერხებათ და თომას შააფმაც თქვა, ჩვენებურად შევუტევთ და მოსაგებად ვითამაშებთო.

„ვერდერს“ ტრავმის გამო მეკარე ტიმ ვიზე და ფორვარდი ივან კლასნიჩი ვერ დაეხმარებიან, იურიცა ვრანიეში კი დისკვალიფიცირებულია.

„ლევერკუზენს“ დაშავებული ჰყავს ქარიმ ჰაგი და ლუკაშ ზინკევიჩი, ხოლო შტეფან კისლინგმა წინა ტურში წითელი ბარათი მიიღო და ჩემპიონატი ვრანიეშივით ადრე დაასრულა.

ამ გუნდების ბოლო ექვსი შეხვედრიდან „მუსიკოსებმა“ ხუთი მოიგეს. „ლევერკუზენს“ „ვერდერი“ 2005 წლის აპრილის მერე არ დაუმარცხებია.

სხვათა შედეგებზე კი არის დამოკიდებული, მაგრამ უეფას თასზე გასვლის შანსი აქვს ფელიქს მაგათის „ვოლფსბურგსაც“. „მგლები“ დორტმუნდში ჩავლენ, სადაც ბოლო ათი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოიგეს.

მასპინძლების მთავარი მეკარე რომან ვაიდენფელერი და მისი შემცვლელი მარკ ციგლერიც ტრავმირებულნი არიან და კარში 21 წლის მარსელ ჰიოტეკერი ჩადგება. ვერ ითამაშებენ რობერტ კოვაჩი, დიეგო კლიმოვიჩი და სებასტიან კელი.

15 მარტის აქეთ „ჰამბურგმა“ შინ ოთხი მატჩი გამართა — ერთი ფრედ დასრულა, სამი კი ისე წააგო, რომ გოლიც ვერ გაიტანა და ეგებ დღეს, „კარლსრუესთან“ გატეხოს ნავსი და ჰუბ სტევენსი გამარჯვებით გააცილოს. ჰოლანდიელი მწვრთნელი მომავალი სეზონიდან „ფეიენოორდს“ უთავკაცებს.

ჩემპიონი „ბაიერნიც“ ოტმარ ჰიცფელდისთვის ითამაშებს, რომელიც საკლუბო კარიერას ამ მატჩით დაასრულებს და შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელი გახდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 1:1 | 1:1 | 2:1 | 1:1 | 2:1 | 4:1 | 3:0 | | 2:0 | 0:0 | 3:1 | 5:0 | 5:0 | 2:0 | 3:0 | 0:0 | 3:0 |
| 2 | ვერდერი | 0:4 | | 5:1 | 5:2 | 2:1 | 0:1 | 4:1 | 6:1 | 3:2 | 4:0 | 2:1 | 1:2 | 2:0 | 2:0 | 8:1 | 2:0 | 1:2 | 1:0 |
| 3 | შალკე | 0:1 | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 1:2 | 4:1 | 1:1 | 1:0 | 0:2 | 1:0 | 1:0 | 4:1 | 5:0 | 3:0 | 2:1 | 2:1 | 1:0 |
| 4 | ლევერკუზენი | 0:1 | | 1:0 | | 1:1 | 2:2 | 3:0 | 2:0 | 1:2 | 3:0 | 0:2 | 2:0 | 2:2 | 0:0 | 4:0 | 4:1 | 4:1 | 3:0 |
| 5 | ჰამბურგი | 1:1 | 0:1 | 0:1 | 1:0 | | 2:2 | 4:1 | 1:1 | 2:1 | | 4:1 | 3:0 | 1:0 | 0:0 | 1:1 | 1:0 | 0:1 | 2:0 |
| 6 | ვოლფსბურგი | 0:0 | 1:1 | 1:1 | 1:2 | 1:1 | | 4:0 | 3:2 | 0:0 | 1:2 | 2:2 | 0:1 | 4:0 | 3:0 | 1:3 | 3:1 | 2:1 | 1:0 |
| 7 | შტუტგარტი | 3:1 | 6:3 | 2:2 | 1:0 | 1:0 | 3:1 | | 0:2 | 1:3 | 3:1 | 4:1 | 1:0 | 1:2 | 3:0 | | 3:0 | 1:0 | 4:1 |
| 8 | ჰანოვერი | 0:3 | 4:3 | 2:3 | 0:3 | 0:1 | 2:2 | 0:0 | | 2:2 | 2:2 | 2:1 | 3:2 | 2:1 | | 2:2 | 2:1 | 2:1 | 3:0 |
| 9 | ჰერტა | 0:0 | 1:2 | 1:2 | 0:3 | 0:0 | 2:1 | 3:1 | 1:0 | | 3:1 | 0:3 | 2:0 | 3:2 | 0:0 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 1:3 |
| 10 | კარლსრუე | 1:4 | 3:3 | 0:0 | 2:2 | 1:1 | 3:1 | 1:0 | 1:2 | 2:1 | | 0:1 | 1:3 | 3:1 | 1:1 | 0:0 | 2:0 | 1:0 | 1:2 |
| 11 | აინტრახტი | 1:3 | 1:0 | 2:2 | 2:1 | 2:1 | 2:3 | 1:4 | 0:0 | 1:0 | 0:1 | | 1:1 | 1:1 | 2:1 | 2:1 | 1:3 | | 1:0 |
| 12 | ბოხუმი | 1:2 | 2:2 | 0:3 | 2:0 | 2:1 | 5:3 | 1:1 | 2:1 | 1:1 | 2:2 | 0:0 | | 3:3 | 3:3 | 3:0 | 3:3 | 1:1 | |
| 13 | დორტმუნდი | 0:0 | 3:0 | 2:3 | 2:1 | 0:3 | | 3:2 | 1:3 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 2:1 | | 3:0 | 6:1 | 0:0 | 1:3 | 1:0 |
| 14 | კოტბუსი | 2:0 | 0:2 | 1:0 | 2:3 | 2:0 | 1:2 | 0:1 | 5:1 | 2:1 | 2:0 | 2:2 | 1:2 | 0:2 | | 1:0 | 1:1 | 1:2 | 2:1 |
| 15 | არმინია | 0:1 | 1:1 | 0:2 | 1:0 | 0:1 | 0:1 | 2:0 | 0:2 | 2:0 | 1:0 | 2:2 | 2:0 | 2:2 | 1:1 | | 3:1 | 0:2 | 4:2 |
| 16 | ნიურნბერგი | 1:1 | 0:1 | | 1:2 | 0:0 | 1:0 | 0:1 | 2:2 | 2:1 | 0:2 | 5:1 | 1:1 | 2:0 | 1:1 | 2:2 | | 2:0 | 1:1 |
| 17 | დუისბურგი | 2:3 | 1:3 | 0:2 | 3:2 | 0:1 | 1:3 | 2:3 | 1:1 | 1:2 | 0:1 | 0:1 | 0:2 | 3:3 | 0:1 | 3:0 | 1:0 | | 1:1 |
| 18 | ჰანზა | 1:2 | 1:2 | 1:1 | 1:2 | 1:3 | 0:1 | 2:1 | 0:3 | 0:0 | 0:0 | 1:0 | 2:0 | 0:1 | 3:2 | 1:1 | 1:2 | 2:0 | |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | 33 | 21 | 10 | 2 | 64:20 | 73 | 11 | 5 | 0 | 37:7 | 38 | 10 | 5 | 2 | 27:13 | 35 |
| 2 | ვერდერი | 33 | 19 | 6 | 8 | 74:45 | 63 | 13 | 0 | 4 | 48:19 | 39 | 6 | 6 | 4 | 26:26 | 24 |
| 3 | შალკე | 33 | 17 | 10 | 6 | 53:32 | 61 | 10 | 4 | 3 | 29:13 | 34 | 7 | 6 | 3 | 24:19 | 27 |
| 4 | ლევერკუზენი | 33 | 15 | 6 | 12 | 57:39 | 51 | 9 | 4 | 3 | 32:12 | 31 | 6 | 2 | 9 | 25:27 | 20 |
| 5 | ჰამბურგი | 33 | 13 | 12 | 8 | 40:26 | 51 | 8 | 5 | 3 | 23:11 | 29 | 5 | 7 | 5 | 17:15 | 22 |
| 6 | ვოლფსბურგი | 33 | 14 | 9 | 10 | 54:44 | 51 | 7 | 6 | 4 | 28:17 | 27 | 7 | 3 | 6 | 26:27 | 24 |
| 7 | შტუტგარტი | 33 | 16 | 3 | 14 | 55:55 | 51 | 12 | 1 | 3 | 37:17 | 37 | 4 | 2 | 11 | 18:38 | 14 |
| 8 | ჰანოვერი | 33 | 12 | 10 | 11 | 50:56 | 46 | 7 | 5 | 4 | 28:27 | 26 | 5 | 5 | 7 | 22:29 | 20 |
| 9 | ჰერტა | 33 | 12 | 8 | 13 | 38:40 | 44 | 9 | 3 | 5 | 21:18 | 30 | 3 | 5 | 8 | 17:22 | 14 |
| 10 | კარლსრუე | 33 | 11 | 10 | 12 | 38:46 | 43 | 6 | 6 | 5 | 23:22 | 24 | 5 | 4 | 7 | 15:24 | 19 |
| 11 | აინტრახტი | 33 | 11 | 10 | 12 | 39:48 | 43 | 7 | 4 | 5 | 20:22 | 25 | 4 | 6 | 7 | 19:26 | 18 |
| 12 | ბოხუმი | 33 | 10 | 11 | 12 | 47:52 | 41 | 5 | 9 | 2 | 31:26 | 24 | 5 | 2 | 10 | 16:26 | 17 |
| 13 | დორტმუნდი | 33 | 10 | 10 | 13 | 48:58 | 40 | 7 | 5 | 4 | 27:20 | 26 | 3 | 5 | 9 | 21:38 | 14 |
| 14 | კოტბუსი | 33 | 9 | 9 | 15 | 35:52 | 36 | 8 | 2 | 7 | 25:20 | 26 | 1 | 7 | 8 | 10:32 | 10 |
| 15 | არმინია | 33 | 8 | 9 | 16 | 33:58 | 33 | 7 | 4 | 6 | 21:18 | 25 | 1 | 5 | 10 | 12:40 | 8 |
| 16 | ნიურნბერგი | 33 | 7 | 10 | 16 | 35:49 | 31 | 5 | 7 | 4 | 21:16 | 22 | 2 | 3 | 12 | 14:33 | 9 |
| 17 | დუისბურგი | 33 | 8 | 5 | 20 | 34:51 | 29 | 3 | 3 | 11 | 19:29 | 12 | 5 | 2 | 9 | 15:22 | 17 |
| 18 | ჰანზა | 33 | 7 | 6 | 20 | 28:51 | 27 | 5 | 4 | 8 | 17:21 | 19 | 2 | 2 | 12 | 11:30 | 8 |



# რა ენყინა ზეედორფს?

**კლარენს ზეედორფი,** რომელიც ევრო 2008-ზე არ მიდის, ამას ნაკრების მწვრთნელ მარკო ვან ბასტენს აბრალებს. შეურაცხყოფა მომაყენა და მის ხელქვეით არ ვითამაშებო.

2004-2006 წლებში ვან ბასტენი ზეედორფს საერთოდ არ იძახებდა ნაკრებში. ამჯერად კი გვერდს ვერ აუვლიდა, რადგან ბოლო ორი სეზონია, „მილანის“ შემტევი ნახევარმცველი შეუდარებელია. თუმცა ახლა თავად ზეედორფმა თქვა „ნარინჯისფერთა“ რიგებში თამაშზე უარი და ჰოლანდიის ბევრ ფანს გული დაწყვიტა.

„32 წლის ვარ და ეს ჩემი ბოლო ევროპის ჩემპიონატი იქნებოდა. ჰოლანდიის ნაკრებში თამაში ძალიან მინდოდა, მაგრამ 2006 წელს ერთი ოცნება უკვე წამართვეს, როცა გერმანიის მუნდიალზე არ წამიყვანეს. ახლა ეს გადაწყვეტილება რომ არ მიმელო, ჩემი პრინციპების წინააღმდეგ უნდა წავსულიყავი და მართალი არ ვიქნებოდი. რით დამამცირა ვან ბასტენმა, როგორც ფეხბურთელი? ერთხელ მან თქვა, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავივით ვარ. ჰოლანდიას მხოლოდ საუკეთესოს ვუსურვებ ევრო 2008-ზე, იმ ფეხბურთელებთან ერთად, ვისაც ვან ბასტენი ენდობა“ — თქვა ზეედორფმა.

ამავე დროს, „ზეემ“ განაცხადა, რომ ეს არ ნიშნავს სანაკრებო კარიერის დასრულებას. „ევრო 2008-ის მერე ვან ბასტენი ნაკრებიდან მიდის და ამის მერე ჰოლანდიის ღირსებას ისევ სიამოვნებით დავიცავ — აღნიშნა კლარენსმა — თუ ახალ მწვრთნელს ვენდომები, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ნაკრებს სიამოვნებით დავეხმარები. ახლა კი მხოლოდ „მილანზე“ ვფიქრობ“.

**ბოკა ბანდელაძე**

| XXXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სამპდორია | : | იუვენტუსი |
| **ხვალ** | | |
| ტორინო | : | ფიორენტინა |
| ატალანტა | : | ჯენოა |
| პარმა | : | ინტერი |
| ემპოლი | : | ლივორნო |
| ლაციო | : | ნაპოლი |
| სიენა | : | პალერმო |
| კალიარი | : | რეჯინა |
| კატანია | : | რომა |
| მილანი | : | უდინეზე |

## იტალია

# კითხვების და პასუხების ტური

**ბევრისთვის** მოულოდნელად მიმდინარე სერია A-ს ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურამდე არ გადაწყვეტილა და მთავარი კითხვაც სწორედ ეს არის — „ინტერი“ თუ „რომა“? ორივე მათგანი გადარჩენისთვის მებრძოლ გუნდს სტუმრობს: მილანელები „პარმას“, ხოლო დედაქალაქელები — „კატანიას“. ასე რომ, ინტრიგა და მოლოდინი დიდია.

„ინტერისა“ და „რომას“ ფანებს ამ საგარეო მატჩებზე დასწრება აუკრძალეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იტალიელ სამართალდამცავებს უსაფრთხოების ზომების დაცვა ძალიან გაუჭირდებოდათ.

თუ „გლადიატორები“ სიცილიაზე ვერ მოიგებენ, „ნერაძური“ წაგებითაც ჩემპიონი ხდება, ხოლო თუ „რომა“ „კატანიას“ დაამარცხებს, მაშინ სკუდეტოს მოსაპოვებლად „ინტერსაც“ გამარჯვება სჭირდება „პარმასთან“.

„პარმა“ იმ შემთხვევაში გადარჩება, თუ მოიგებს, ხოლო „კატანია“ დამარცხდება.

უმაღლეს ლიგაში დარჩენის პატარა შანსი „ემპოლისაც“ აქვს შერჩენილი. ამისთვის ტოსკანურ დერბიში უკვე გავარდნილ „ლივორნოს“ უნდა მოუგოს და იმის იმედი ჰქონდეს, რომ „პარმა“ ვერ იმარჯვებს, ხოლო „კატანია“ წააგებს. ამ შემთხვევაში „ემპოლის“ სიცილიელების დარად 36 ქულა დაუგროვდება და რადგან ურთიერთშევედრებში (შინ 2:0 მოგება და სტუმრად 0:1 წაგება) „ელეფანტიზე“ კარგი მაჩვენებელი აქვს, დაქვეითებას გადაურჩება.

ერთი ესაა, რაც ტოსკანელთა მწვრთნელად ლუიჯი კანი დაბრუნდა, უკვე ექვსი მატჩია, გუნდს შინ ვერ მოუგია. თუმცა ახალგაზრდა ლიდერის, ტრავმირებული ნიკოლა პოცის გარეშე მყოფ ემპოლელებს იმედი აქვთ, რომ ნავსი უმოტივაციო „ლივორნოსთან“ გატყდება.

„ინტერს“ კვლავ არ ეყოლება ოლივიე დაკური, ვალტერ სამუელი, ივან კორდობა, ლუიშ ფიგუ და სანტიაგო სოლარი. დაშავდა ესტებან კამბიასოც. სათუოა დეიან სტანკოვიჩის თამაში. აი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი კი, შესაძლოა, გუნდს დაეხმაროს, მაგრამ იგი მწყობრში ისევ არ არის და თუ განაცხადში მოხვდება, სავარაუდოდ სათადარიგოთა სკამზე იჯდება. მერე კი, შესაძლოა, რობერტო მანჩინიმ მინდორზე შეუშვას.

„პარმას“, რომლის მწვრთნელობიდანაც რამდენიმე დღის წინ მოულოდნელად მოხსნეს „ინტერისთვის“ კარგად ნაცნობი ექტორ რაულ კუპერი, მარკო როსი და დანიელე დესენა არ ჰყავს. „ნერაძურისთან“ სათამაშოდ კლუბს ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი ანდრეა მანცო გაიყვანს.

შევახსენებთ, რომ 2002 წლის 5 მაისს კუპერის მიერ გაწვრთნილმა „ინტერმა“ ბოლო ტურში წააგო „ლაციოსთან“ და სკუდეტო დაკარგა. მაშინ „ბიანკოჩელესტიში“ ამჟამინდელი პარმელი ფერნანდუ კოუტუ თამაშობდა და კლუბის პრეზიდენტ ტომაზო გირარდისაც მისი იმედი აქვს.

„კუპერი მოვხსენი, რათა გუნდის ფსიქოლოგიური მდგომარეობა შემეცვალა. ასეთი სტილის თამაშები უფრო გონებით ითამაშება, ვიდრე ფეხებით. ვფიქრობ, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი იარაღი დისკვალიფიკაციის მერე დაბრუნებული კოუტუა, მან იცის, ბოლო ტურში როგორ დაამარცხოს „ინტერი“ და იმედია, მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდება. რა შანსი გვაქვს? ვფიქრობ, 50 პროცენტი“ — აღნიშნა გირარდიმ.

„რომა“ ფრანჩესკო ტოტისა და როდრიგო ტადეის ვერ დაიხმარს. ფილიპ მექსესი და სიმონე პეროტა ალბათ მწყობრში იქნებიან. „კატანიას“ ჯონათან სპინეზი აკლია.

„კლუბს ვთხოვე, სტადიონზე ჩემთვის ექიმს ხომ ვერ მოიყვანთ-მეთქი. ისეთი დაძაბული ვითარება იქნება და ისე ვინერვიულებ, რომ ბოლოს, შესაძლოა, საკაცით გასაყვანი გავხდე! „კატანიას“ მწვრთნელი რაც გავხდი, მოწევაც კი განვაახლე, ორი წელი თავი დანებებული რომ მქონდა“ — ღიმილით განაცხადა ვალტერ ძენგამ.

წარსულში ცნობილი მეკარე „ინტერის“ ლეგენდა გახლავთ და ჟურნალისტებმა მას „ახარეს“, „რომას“ თუ შეაჩერებთ, თქვენს ყოფილ კლუბს გაუწევთ სამსახურსო, მაგრამ ამაზე ძენგას ცოტა უცნაური რეაქცია ჰქონდა...

| 12105 რეალი-ლევანტე | 2.20 | 1.40 |
| 12107 მალიორკა-სარაგოსა | 2.00 | 1.60 |
| 12108 მურსია-ბარსელონა | 2.00 | 1.60 |
| 12110 რასინგი-ოსასუნა | 1.80 | 1.80 |
| 12111 სევილია-ბილბაო | 2.10 | 1.50 |
| 12112 ხეტაფე-ბეტისი | 1.80 | 1.80 |
| 12113 მალაგა -ჰერკულესი | 1.60 | 2.00 |
| 12114 ლას პალმასი-ეხიდო | 1.60 | 2.00 |
| 12115 ელჩე-eიბარი | 1.50 | 2.10 |
| 12116 სერესი-კასტელონი | 1.50 | 2.10 |
| 12117 ალბასეტე-კორდობა | 1.50 | 2.10 |
| 12118 ნუმანსია-ალავესი | 1.50 | 2.10 |
| 12119 სპორტინგი-სალამანკა | 1.60 | 2.00 |
| 12120 ფეროლი-ტენერიფე | 1.50 | 2.10 |
| 12121 სოსიედადი-გრანადა | 1.60 | 2.00 |
| 12122 სელტა-კადისი | 1.60 | 2.00 |
| 12123 ტარაგონა-სევილია ბ | 1.60 | 2.00 |
| 12124 მეცი-ლე მანი | 1.80 | 1.80 |
| 12126 ლორიანი-ლილი | 1.60 | 2.00 |
| 12127 ოსერი-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 12129 სტ.ეტიენი-მონაკო | 1.70 | 1.90 |
| 12131 სოშო-პსჟ | 1.60 | 2.00 |
| 12132 ნანსი-რენი | 1.70 | 1.90 |
| 12133 მარსელი-სტრასბური | 1.80 | 1.80 |
| 12134 ტულუზი-ვალენსიენი | 1.60 | 2.00 |
| 12135 ლანსი-ბორდო | 1.70 | 1.90 |
| 12136 ნიცა-კაენი | 1.70 | 1.90 |
| 12221 ჰამ კამი-სტრიომსგოდსეტი | 1.90 | 1.70 |
| 12341 პორთსმუთი-კარდიფი ნ | 1.60 | 2.00 |

## გოლი: ლუწი-1 კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | |
|---|---|---|
| 17001 ლევერკუზენი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17002 ბაიერნი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17004 შტუტგარტი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17005 ჰანოვერი-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17006 დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17007 ჰამბურგი-კარლსრუე | 1.85 | 1.95 |
| 17009 ბოხუმი-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17010 აინტრახტი-დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17011 ნიურნბერგი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17013 პადერბორნი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17014 ჰოფენჰაიმი-ფიურტი | 1.85 | 1.95 |
| 17015 აუე-მიუნხენი 1860 | 1.85 | 1.95 |
| 17016 კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 1.85 | 1.95 |
| 17017 ალემანია-კობლენცი | 1.85 | 1.95 |
| 17018 აუგსბურგი-კარლ ცაისი | 1.85 | 1.95 |
| 17019 ოსნაბრიუკი-ოფენბახი | 1.85 | 1.95 |
| 17020 ფრაიბურგი-ვეენი | 1.85 | 1.95 |
| 17021 მაინცი-ზტ.პაული | 1.85 | 1.95 |
| 17046 პარმა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17048 სამპდორია-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17050 ემპოლი-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17051 ლაციო-ნაპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17052 სიენა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17053 კალიარი-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17054 კატანია-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17055 მილანი-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17057 ტორინო-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17059 ატალანტა-ჯენოა | 1.85 | 1.95 |
| 17060 სპეცია-მანტოვა | 1.85 | 1.95 |
| 17061 ბოლონია-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17062 ფროზინონე-მოდენა | 1.85 | 1.95 |
| 17063 რავენა-პიზა | 1.85 | 1.95 |
| 17064 აველინო-ტრიესტინა | 1.85 | 1.95 |
| 17065 კიევო-ვიჩენცა | 1.85 | 1.95 |
| 17066 რიმინი-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17067 ასკოლი-ალბინოლეფე | 1.85 | 1.95 |
| 17068 ლეჩე-ბარი | 1.85 | 1.95 |
| 17069 ტრევიზო-ჩეზენა | 1.85 | 1.95 |
| 17070 პიაჩენცა-გროსეტო | 1.85 | 1.95 |
| 17100 უელვა-ვალიადოლიდი | 1.85 | 1.95 |
| 17101 ესპანიოლი-ალმერია | 1.85 | 1.95 |
| 17102 დეპორტივო-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17103 ვალენსია-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17105 რეალი-ლევანტე | 1.85 | 1.95 |
| 17107 მალიორკა-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17108 მურსია-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17110 რასინგი-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17111 სევილია-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17112 ხეტაფე-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17113 მალაგა -ჰერკულესი | 1.85 | 1.95 |
| 17114 ლას პალმასი-ეხიდო | 1.85 | 1.95 |
| 17115 ელჩე-ეიბარი | 1.85 | 1.95 |
| 17116 სერესი-კასტელონი | 1.85 | 1.95 |
| 17117 ალბასეტე-კორდობა | 1.85 | 1.95 |
| 17118 ნუმანსია-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17119 სპორტინგი-სალამანკა | 1.85 | 1.95 |
| 17120 ფეროლი-ტენერიფე | 1.85 | 1.95 |
| 17121 სოსიედადი-გრანადა | 1.85 | 1.95 |
| 17122 სელტა-კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17123 ტარაგონა-სევილია ბ | 1.85 | 1.95 |
| 17124 მეცი-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17126 ლორიანი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17127 ოსერი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17129 სტ.ეტიენი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17131 სოშო-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17133 მარსელი-სტრასბური | 1.85 | 1.95 |
| 17134 ტულუზი-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17135 ლანსი-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17136 ნიცა-კაენი | 1.85 | 1.95 |
| 17221 ჰამ კამი-სტრიომსგოდსეტი | 1.85 | 1.95 |
| 17341 პორთსმუთი-კარდიფი ნ | 1.85 | 1.95 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|
| 13001 ლევერკუზენი-ვერდერი | 1.50 | 2.10 |
| 13002 ბაიერნი-ჰერტა | 1.60 | 2.00 |
| 13004 შტუტგარტი-არმინია | 1.50 | 2.10 |
| 13005 ჰანოვერი-კოტბუსი | 1.50 | 2.10 |
| 13006 დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1.50 | 2.10 |
| 13007 ჰამბურგი-კარლსრუე | 1.60 | 2.00 |
| 13009 ბოხუმი-ჰანზა | 1.50 | 2.10 |
| 13010 აინტრახტი-დუისბურგი | 1.50 | 2.10 |
| 13011 ნიურნბერგი-შალკე | 1.60 | 2.00 |
| 13013 პადერბორნი-მიონხენგლადბახი | 1.50 | 2.10 |
| 13014 ჰოფენჰაიმი-ფიურტი | 1.60 | 2.00 |
| 13015 აუე-მიუნხენი 1860 | 1.50 | 2.10 |
| 13016 კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 1.50 | 2.10 |
| 13017 ალემანია-კობლენცი | 1.50 | 2.10 |
| 13018 აუგსბურგი-კარლ ცაისი | 1.60 | 2.00 |
| 13019 ოსნაბრიუკი-ოფენბახი | 1.70 | 1.90 |
| 13020 ფრაიბურგი-ვეენი | 1.60 | 2.00 |
| 13021 მაინცი-ზტ.პაული | 1.60 | 2.00 |
| 13046 პარმა-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13048 სამპდორია-იუვენტუსი | 1.50 | 2.10 |
| 13050 ემპოლი-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 13051 ლაციო-ნაპოლი | 1.50 | 2.10 |
| 13052 სიენა-პალერმო | 1.50 | 2.10 |
| 13053 კალიარი-რეჯინა | 1.50 | 2.10 |
| 13054 კატანია-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13055 მილანი-უდინეზე | 1.90 | 1.70 |
| 13057 ტორინო-ფიორენტინა | 1.60 | 2.00 |
| 13059 ატალანტა-ჯენოა | 1.50 | 2.10 |
| 13060 სპეცია-მანტოვა | 1.60 | 2.00 |
| 13061 ბოლონია-მესინა | 1.80 | 1.80 |
| 13062 ფროზინონე-მოდენა | 1.60 | 2.00 |
| 13063 რავენა-პიზა | 1.60 | 2.00 |
| 13064 აველინო-ტრიესტინა | 1.60 | 2.00 |
| 13065 კიევო-ვიჩენცა | 1.70 | 1.90 |
| 13066 რიმინი-ბრეშა | 1.60 | 2.00 |
| 13067 ასკოლი-ალბინოლეფე | 1.60 | 2.00 |
| 13068 ლეჩე-ბარი | 1.70 | 1.90 |
| 13069 ტრევიზო-ჩეზენა | 1.60 | 2.00 |
| 13070 პიაჩენცა-გროსეტო | 1.60 | 2.00 |
| 13100 უელვა-ვალიადოლიდი | 1.80 | 1.80 |
| 13101 ესპანიოლი-ალმერია | 1.80 | 1.80 |
| 13102 დეპორტივო-ვილიარეალი | 1.80 | 1.80 |
| 13103 ვალენსია-ატლეტიკო | 1.60 | 2.00 |
| 13105 რეალი-ლევანტე | 1.90 | 1.70 |
| 13107 მალიორკა-სარაგოსა | 1.60 | 2.00 |
| 13108 მურსია-ბარსელონა | 1.80 | 1.80 |
| 13110 რასინგი-ოსასუნა | 1.80 | 1.80 |
| 13111 სევილია-ბილბაო | 1.80 | 1.80 |
| 13112 ხეტაფე-ბეტისი | 1.80 | 1.80 |
| 13113 მალაგა -ჰერკულესი | 1.90 | 1.70 |
| 13114 ლას პალმასი-ეხიდო | 1.90 | 1.70 |
| 13115 ელჩე-ეიბარი | 1.90 | 1.70 |
| 13116 სერესი-კასტელონი | 1.90 | 1.70 |
| 13117 ალბასეტე-კორდობა | 1.90 | 1.70 |
| 13118 ნუმანსია-ალავესი | 1.90 | 1.70 |
| 13119 სპორტინგი-სალამანკა | 1.90 | 1.70 |
| 13120 ფეროლი-ტენერიფე | 1.90 | 1.70 |
| 13121 სოსიედადი-გრანადა | 1.90 | 1.70 |
| 13122 სელტა-კადისი | 1.90 | 1.70 |
| 13123 ტარაგონა-სევილია ბ | 1.90 | 1.70 |
| 13124 მეცი-ლე მანი | 1.70 | 1.90 |
| 13126 ლორიანი-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 13127 ოსერი-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13129 სტ.ეტიენი-მონაკო | 1.70 | 1.90 |
| 13131 სოშო-პსჟ | 1.80 | 1.80 |
| 13132 ნანსი-რენი | 1.70 | 1.90 |
| 13133 მარსელი-სტრასბური | 1.90 | 1.70 |
| 13134 ტულუზი-ვალენსიენი | 1.80 | 1.80 |
| 13135 ლანსი-ბორდო | 1.70 | 1.90 |
| 13136 ნიცა-კაენი | 1.70 | 1.90 |
| 13221 ჰამ კამი-სტრიომსგოდსეტი | 1.60 | 2.00 |
| 13341 პორთსმუთი-კარდიფი ნ | 1.90 | 1.70 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ბრაზილია 17 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 292 | კრუზეირო-ბოტაფოგო | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 23:45 | 294 | სპორტ რისიფე-ვიტორია | 1.75 | 3.30 | 3.95 | 1.14 | 1.21 | 1.79 |
| 23:45 | 299 | ვასკუ და გამა-პორტუგესა | 1.60 | 3.40 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 2.00 |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 293 | სანტოსი-იპატინგა | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 23:00 | 295 | გრემიო-ფლამენგო | 1.95 | 3.20 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |
| 23:00 | 296 | ატლეტიკო პრ-სან პაულუ | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:00 | 297 | ფლუმინენსე-ნაუტიკო | 1.95 | 3.20 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |
| 23:00 | 298 | გოიასი-ატლეტიკო მნ | 1.75 | 3.30 | 3.95 | 1.14 | 1.21 | 1.79 |
| 23:45 | 300 | პალმეირასი-ინტერნასიონალი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:45 | 301 | ფიგეირენსე-კურიტიბა | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | შერეული 17 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 421 | ლევსკი-სლავია(ბულ) | 1.30 | 4.00 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.72 |
| 18:00 | 422 | ნარვა-ლევადია(ესტ) | 3.90 | 3.30 | 1.75 | 1.78 | 1.20 | 1.14 |
| 15:00 | 424 | დებრეცენი-ვიდეოტონი(უნგ) | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 19:00 | 432 | არსენალი-ხარკოვი(უკრ) | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 19:00 | 433 | ჩერნომორეცი-კრივბასი(უკრ) | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| 19:00 | 434 | ტავრია-მეტალურგი ზ(უკრ) | 1.50 | 3.40 | 5.80 | 1.04 | 1.19 | 2.14 |
| 19:00 | 435 | ტარტუ-კალევი(ესტ) | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 19:00 | 437 | ჩუკარიჩკი-მლადოსტი(სერ) | 2.40 | 2.70 | 2.90 | 1.27 | 1.31 | 1.39 |
| 19:00 | 438 | ბორაცი-სმედერევო(სერ) | 2.45 | 2.60 | 2.80 | 1.26 | 1.30 | 1.34 |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 425 | პონვედი-ვაშაში(უნგ) | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| | | ინგლისი. თასი 17 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 341 | პორთსმუთი-კარდიფი ნ | 1.65 | 3.40 | 5.10 | 1.11 | 1.24 | 2.03 |
| | | ბელგია. თასი 18 მაისი | | | | | | |
| 18:30 | 357 | გენტი-ანდერლეხტი ნ | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| | | პორტუგალია. თასი 18 მაისი | | | | | | |
| 23:30 | 362 | პორტუ-სპორტინგი ნ | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| | | საბერძნეთი. თასი 17 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 359 | ოლიმპიაკოსი-არისი | 2.30 | 3.00 | 2.75 | 1.30 | 1.25 | 1.43 |
| | | რუსეთი. თასი 17 მაისი | | | | | | |
| 15:00 | 367 | ცსკა-ამკარი | 1.45 | 3.80 | 6.40 | 1.04 | 1.18 | 2.38 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ლევერკუზენი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ბაიერნი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | შტუტგარტი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ჰანოვერი-კოტბუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ბოხუმი-ჰანზა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | აინტრახტი-დუისბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ნიურნბერგი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | პადერბორნი-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ჰოფენჰაიმი-ფიურტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | აუე-მიუნხენი 1860 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | ალემანია-კობლენცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | აუგსბურგი-კარლ ცაისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | ოსნაბრიუკი-ოფენბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | ფრაიბურგი-ვეენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | მაინცი-ზტ.პაული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15046 | პარმა-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15048 | სამპდორია-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15051 | ლაციო-ნაპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15052 | სიენა-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15053 | კალიარი-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15054 | კატანია-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15057 | ტორინო-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15060 | სპეცია-მანტოვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15062 | ფროზინონე-მოდენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15063 | რავენა-პიზა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15064 | აველინო-ტრიესტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15065 | კიევო-ვიჩენცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15066 | რიმინი-ბრეშა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15067 | ასკოლი-ალბინოლეფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15068 | ლეჩე-ბარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15069 | ტრევიზო-ჩეზენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15070 | პიაჩენცა-გროსეტო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | უელვა-ვალიადოლიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | ესპანიოლი-ალმერია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | დეპორტივო-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | ვალენსია-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | მალიორკა-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | მურსია-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15110 | რასინგი-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15111 | სევილია-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15112 | ხეტაფე-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15113 | მალაგა -ჰერკულესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15114 | ლას პალმასი-ეხიდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15115 | ელჩე-ეიბარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15116 | სერესი-კასტელონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15117 | ალბასეტე-კორდობა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15118 | ნუმანსია-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15119 | სპორტინგი-სალამანკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15120 | ფეროლი-ტენერიფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15121 | სოსიედადი-გრანადა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15122 | სელტა-კადისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15123 | ტარაგონა-სევილია ბ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15124 | მეცი-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15126 | ლორიანი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15127 | ოსერი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15129 | სტ.ეტიენი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15131 | სოშო-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15134 | ტულუზი-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15135 | ლანსი-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15136 | ნიცა-კაენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15221 | ჰამ კამი-სტრიომსგოდსეტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15341 | პორთსმუთი-კარდიფი ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ლევერკუზენი-ვერდერი | 1.80 | 1.85 |
| 16002 | ბაიერნი-ჰერტა | 1.11 | 5.70 |
| 16004 | შტუტგარტი-არმინია | 1.17 | 4.10 |
| 16005 | ჰანოვერი-კოტბუსი | 1.23 | 3.60 |
| 16006 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 2.40 | 1.45 |
| 16009 | ბოხუმი-ჰანზა | 1.14 | 4.70 |
| 16010 | აინტრახტი-დუისბურგი | 1.17 | 4.10 |
| 16011 | ნიურნბერგი-შალკე | 1.75 | 1.85 |
| 16013 | პადერბორნი-მიონხენგლადბახი | 2.10 | 1.60 |
| 16014 | ჰოფენჰაიმი-ფიურტი | 1.10 | 5.50 |
| 16015 | აუე-მიუნხენი 1860 | 1.55 | 2.20 |
| 16016 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 1.14 | 4.70 |
| 16017 | ალემანია-კობლენცი | 1.32 | 3.00 |
| 16018 | აუგსბურგი-კარლ ცაისი | 1.10 | 5.50 |
| 16019 | ოსნაბრიუკი-ოფენბახი | 1.45 | 2.45 |
| 16020 | ფრაიბურგი-ვეენი | 1.10 | 5.50 |
| 16021 | მაინცი-ზტ.პაული | 1.08 | 5.00 |
| 16046 | პარმა-ინტერი | 3.00 | 1.30 |
| 16048 | სამპდორია-იუვენტუსი | 1.80 | 1.85 |
| 16051 | ლაციო-ნაპოლი | 1.65 | 2.05 |
| 16052 | სიენა-პალერმო | 1.55 | 2.20 |
| 16053 | კალიარი-რეჯინა | 1.50 | 2.30 |
| 16054 | კატანია-რომა | 4.10 | 1.17 |
| 16057 | ტორინო-ფიორენტინა | 4.20 | 1.15 |
| 16059 | ატალანტა-ჯენოა | 1.45 | 2.45 |
| 16060 | სპეცია-მანტოვა | 1.34 | 2.80 |
| 16062 | ფროზინონე-მოდენა | 1.80 | 1.80 |
| 16063 | რავენა-პიზა | 1.55 | 2.20 |
| 16064 | აველინო-ტრიესტინა | 1.11 | 5.70 |
| 16065 | კიევო-ვიჩენცა | 1.11 | 5.70 |
| 16066 | რიმინი-ბრეშა | 1.30 | 3.00 |
| 16067 | ასკოლი-ალბინოლეფე | 2.05 | 1.62 |
| 16068 | ლეჩე-ბარი | 1.14 | 4.70 |
| 16069 | ტრევიზო-ჩეზენა | 1.23 | 3.60 |
| 16070 | პიაჩენცა-გროსეტო | 1.55 | 2.20 |
| 16100 | უელვა-ვალიადოლიდი | 1.45 | 2.45 |
| 16101 | ესპანიოლი-ალმერია | 1.50 | 2.30 |
| 16102 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1.62 | 2.05 |
| 16103 | ვალენსია-ატლეტიკო | 1.82 | 1.82 |
| 16107 | მალიორკა-სარაგოსა | 1.55 | 2.20 |
| 16108 | მურსია-ბარსელონა | 3.60 | 1.23 |
| 16110 | რასინგი-ოსასუნა | 1.58 | 2.10 |
| 16111 | სევილია-ბილბაო | 1.12 | 4.60 |
| 16112 | ხეტაფე-ბეტისი | 1.34 | 2.80 |
| 16113 | მალაგა -ჰერკულესი | 1.24 | 3.60 |
| 16114 | ლას პალმასი-ეხიდო | 1.40 | 2.55 |
| 16115 | ელჩე-ეიბარი | 1.40 | 2.55 |
| 16116 | სერესი-კასტელონი | 1.58 | 2.10 |
| 16117 | ალბასეტე-კორდობა | 1.40 | 2.55 |
| 16118 | ნუმანსია-ალავესი | 1.22 | 3.40 |
| 16119 | სპორტინგი-სალამანკა | 1.23 | 3.60 |
| 16120 | ფეროლი-ტენერიფე | 1.58 | 2.10 |
| 16121 | სოსიედადი-გრანადა | 1.17 | 4.10 |
| 16122 | სელტა-კადისი | 1.40 | 2.55 |
| 16123 | ტარაგონა-სევილია ბ | 1.32 | 3.00 |
| 16124 | მეცი-ლე მანი | 2.30 | 1.48 |
| 16126 | ლორიანი-ლილი | 1.95 | 1.65 |
| 16127 | ოსერი-ლიონი | 5.70 | 1.11 |
| 16129 | სტ.ეტიენი-მონაკო | 1.24 | 3.60 |
| 16131 | სოშო-პსჟ | 2.90 | 1.32 |
| 16134 | ტულუზი-ვალენსიენი | 1.11 | 5.70 |
| 16135 | ლანსი-ბორდო | 2.05 | 1.65 |
| 16136 | ნიცა-კაენი | 1.38 | 2.65 |
| 16221 | ჰამ კამი-სტრიომსგოდსეტი | 1.55 | 2.20 |
| 16341 | პორთსმუთი-კარდიფი ნ | 1.22 | 3.40 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ლევერკუზენი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 14002 | ბაიერნი-ჰერტა | 1.20 | 2.60 |
| 14004 | შტუტგარტი-არმინია | 1.30 | 2.50 |
| 14005 | ჰანოვერი-კოტბუსი | 1.45 | 2.40 |
| 14006 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 2.20 | 1.70 |
| 14009 | ბოხუმი-ჰანზა | 1.30 | 2.50 |
| 14010 | აინტრახტი-დუისბურგი | 1.30 | 2.50 |
| 14011 | ნიურნბერგი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 14013 | პადერბორნი-მიონხენგლადბახი | 2.00 | 1.80 |
| 14014 | ჰოფენჰაიმი-ფიურტი | 1.20 | 2.60 |
| 14015 | აუე-მიუნხენი 1860 | 1.80 | 2.00 |
| 14016 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 1.30 | 2.50 |
| 14017 | ალემანია-კობლენცი | 1.65 | 2.30 |
| 14018 | აუგსბურგი-კარლ ცაისი | 1.20 | 2.60 |
| 14019 | ოსნაბრიუკი-ოფენბახი | 1.75 | 2.10 |
| 14020 | ფრაიბურგი-ვეენი | 1.20 | 2.60 |
| 14021 | მაინცი-ზტ.პაული | 1.08 | 2.90 |
| 14046 | პარმა-ინტერი | 2.50 | 1.30 |
| 14048 | სამპდორია-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 14051 | ლაციო-ნაპოლი | 1.80 | 2.00 |
| 14052 | სიენა-პალერმო | 1.80 | 2.00 |
| 14053 | კალიარი-რეჯინა | 1.75 | 2.10 |
| 14054 | კატანია-რომა | 2.40 | 1.45 |
| 14057 | ტორინო-ფიორენტინა | 2.60 | 1.20 |
| 14059 | ატალანტა-ჯენოა | 1.75 | 2.10 |
| 14060 | სპეცია-მანტოვა | 1.70 | 2.20 |
| 14062 | ფროზინონე-მოდენა | 1.90 | 1.90 |
| 14063 | რავენა-პიზა | 1.80 | 2.00 |
| 14064 | აველინო-ტრიესტინა | 1.20 | 2.60 |
| 14065 | კიევო-ვიჩენცა | 1.20 | 2.60 |
| 14066 | რიმინი-ბრეშა | 1.65 | 2.30 |
| 14067 | ასკოლი-ალბინოლეფე | 2.00 | 1.80 |
| 14068 | ლეჩე-ბარი | 1.30 | 2.50 |
| 14069 | ტრევიზო-ჩეზენა | 1.45 | 2.40 |
| 14070 | პიაჩენცა-გროსეტო | 1.80 | 2.00 |
| 14100 | უელვა-ვალიადოლიდი | 1.75 | 2.10 |
| 14101 | ესპანიოლი-ალმერია | 1.75 | 2.10 |
| 14102 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1.80 | 2.00 |
| 14103 | ვალენსია-ატლეტიკო | 1.95 | 1.85 |
| 14107 | მალიორკა-სარაგოსა | 1.80 | 2.00 |
| 14108 | მურსია-ბარსელონა | 2.50 | 1.30 |
| 14110 | რასინგი-ოსასუნა | 1.80 | 2.00 |
| 14111 | სევილია-ბილბაო | 1.20 | 2.60 |
| 14112 | ხეტაფე-ბეტისი | 1.70 | 2.20 |
| 14113 | მალაგა -ჰერკულესი | 1.45 | 2.40 |
| 14114 | ლას პალმასი-ეხიდო | 1.70 | 2.20 |
| 14115 | ელჩე-ეიბარი | 1.70 | 2.20 |
| 14116 | სერესი-კასტელონი | 1.80 | 2.00 |
| 14117 | ალბასეტე-კორდობა | 1.70 | 2.20 |
| 14118 | ნუმანსია-ალავესი | 1.30 | 2.50 |
| 14119 | სპორტინგი-სალამანკა | 1.45 | 2.40 |
| 14120 | ფეროლი-ტენერიფე | 1.80 | 2.00 |
| 14121 | სოსიედადი-გრანადა | 1.30 | 2.50 |
| 14122 | სელტა-კადისი | 1.70 | 2.20 |
| 14123 | ტარაგონა-სევილია ბ | 1.65 | 2.30 |
| 14124 | მეცი-ლე მანი | 2.10 | 1.75 |
| 14126 | ლორიანი-ლილი | 2.00 | 1.80 |
| 14127 | ოსერი-ლიონი | 2.60 | 1.20 |
| 14129 | სტ.ეტიენი-მონაკო | 1.45 | 2.40 |
| 14131 | სოშო-პსჟ | 2.30 | 1.65 |
| 14134 | ტულუზი-ვალენსიენი | 1.20 | 2.60 |
| 14135 | ლანსი-ბორდო | 2.00 | 1.80 |
| 14136 | ნიცა-კაენი | 1.70 | 2.20 |
| 14221 | ჰამ კამი-სტრიომსგოდსეტი | 1.80 | 2.00 |
| 14341 | პორთსმუთი-კარდიფი ნ | 1.30 | 2.50 |

# საქართველოს ჩემპიონატი

## სუპერლიგა. ფინალი. სამ მოგებამდე

### რუსთაველები ფინალებში

1998 აზოტი 2:3 ვითა
1999 აზოტი 2:3 ვითა
2000 აზოტი 1:3 ბასკო
2006 ენერჯი-ინვესტი 2:3 ავიამშენი
2007 ენერჯი-ინვესტი 3:0 ავიამშენი
2008 ენერჯი-ინვესტი ?:? ავიამშენი

**სავარაუდო ხუთეული**

ლაშა გამყრელიძე
ბესიკ ლეჟავა
რამაზ გოგობერიშვილი
იოვან სტეფანოვი
ზვიად ბაბიაშვილი

**სათადარიგოები**

ჟოლივეტ ტუჯანი
მიხეილ ჩიტაშვილი
რევაზ დიდია
მიხეილ ჭოჭუა
იური დანელიანი
აკაკი დვალიშვილი
ლევან ცეკავა



## ენერჯი-ინვესტი VS ავიამშენი

„ენერჯი-ინვესტმა" რეგულარულ ჩემპიონატში ექვსიდან ხუთი შეხვედრა მოუგო „ავიამშენს", თუმცა ამას უკვე დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს — ეს გუნდები ხვალიდან ფინალურ სერიას იწყებენ და რომელიც პირველად ავა სამ გამარჯვებამდე, ჩემპიონობაც მას დარჩება.

აქამდე ორივე გუნდს თითოჯერ მოუპოვებია ჩემპიონობა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, „ავიამშენი" და „ენერჯი-ინვესტი" ზედიზედ მესამედ შეეჯახნენ ერთმანეთს ფინალში. თუკი საფინალო ტრადიციას მივყვებით, ამჯერად „ავიამშენის" გამარჯვების ჯერია, რაკი შარშანწინ ლევან მოსეშვილის გუნდი გახდა ჩემპიონი, შარშან კი „ენერჯიმ" მოუნაცვლა.

თუმცა ახლა ტრადიციას არავინ დაგიდევს. რუსთაველი გუნდი 1998-2000 წლებში ზედიზედ სამჯერ გავიდა ფინალში, მაგრამ ჩემპიონობა ჯერ „ვითამ" წაართვა, შემდეგ კი ორჯერ „ბასკომ". ახლა სხვა დროა, ქვემოქართლელები მიჯრით მეორედ უმიზნებენ პირველობას და ამაში მათ საკუთარი მოედნის უპირატესობისაც ეიმედებათ. თუკი სერია მეხუთე მატჩამდე მივა, სუპერფინალს რუსთავი უმასპინძლებს, მაგრამ „ენერჯი-ინვესტის" წინაამძღოლ დავით უსტიაშვილს არ სურს საქმის აქამდე გაწელვა და ოქროს მოპოვებას თბილისშივე გეგმავს.

რუსთაველთა უპირატესობად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მათ ნახევარფინალში მშრალი ანგარიშით (3:0) მოუგეს „ვითას" და საჩემპიონო ბრძოლისთვის მოსამზადებლად მეტოქეზე ორჯერ მეტი დრო ჰქონდათ. „ავიამშენმა" კი ხუთი მატჩი დაახარჯა თსუ-ს და ძალების აღსადგენად ნაკლები დრო დარჩა.

ორივე ფინალისტის თავკაცებს ჩვენ თერთმეტი ერთნაირი კითხვით მივმართეთ, რათა მკითხველი შეძლებისდაგვარად გარკვეულიყო, რა ვითარებაა მეტოქე გუნდების ბანაკებში.

### ავიამშენი ფინალებში

2005 ავიამშენი 2:3 სტუ
2006 ავიამშენი 3:2 ენერჯი-ინვესტი
2007 ავიამშენი 0:3 ენერჯი-ინვესტი
2008 ავიამშენი ?:? ენერჯი-ინვესტი

**სავარაუდო ხუთეული**

კოტე ტულუში
გიორგი ნიკოლაძე
ბუბა კვიმსაძე
ვახტანგ მინაშვილი
რიჩარდ მათიაშვილი

**სათადარიგოები**

ორნიკე ნინიაშვილი
ნოდარ ბერაია
ირაკლი ხოშტარია (ტრავმირებული)
დავით იმნაძე
პლასიდე როდუმტა
ლევან მოსეშვილი
ლადო სუხიშვილი

### თერთმეტი კითხვა ფინალისტთა თავკაცებს

1 რა განწყობით ხვდებით ფინალს?
2 ყველაზე მეტად რა გაფიქრებთ, რის გამოსწორებას ისურვებდით?
3 ტრავმირებულები თუ გყავთ?
4 რამდენად მნიშვნელოვანია მოედნის უპირატესობა ამ სერიაში?
5 თქვენი აზრით, რამდენ მატჩამდე გაგრძელდება სერია?
6 რა არის თქვენი გუნდის უპირატესობა მეტოქეზე და პირიქით?
7 მეტოქის გუნდში ყველაზე მეტად ვის უფრთხით და თქვენის მხრივ, ვისი გეიმედებათ?
8 თქვენი აზრით, რომელ გუნდს უფრო დაბალანსებული და ძლიერი შემადგენლობა ჰყავს?
9 რომ წააგოთ, ტრაგედია იქნება თქვენთვის?
10 მსაჯებს ენდობით თუ ჯობდა, კალათბურთის ფედერაციას უცხოელი არბიტრები მოეწვია?
11 შანსებს როგორ შეაფასებთ?

## დავით უსტიაშვილი: წაგება? ღმერთმა დაგვიფაროს!

1 განწყობა, რა თქმა უნდა, კარგი და რაც მთავარია, საბრძოლოა. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ტიტული შევინარჩუნოთ.

2 ამ სეზონში იყო დადებითი და უარყოფითი მომენტებიც. ტრავმიანობამაც შეგვიშალა ხელი, რის უარყოფით გავლენას ახლაც განვიცდით. თუმცა ვფიქრობ, რომ ყველაზე მეტად ერთი კარგი მეფარის ყოლა არ გვაწყენდა. აი, მაგალითად ისეთი, დავით უგრეხელიძე რომაა. ის წინა სეზონში ჩვენთან იყო და ჩემპიონობაში დიდად დაგვეხმარა.

3 სერიოზული ტრავმები არ გვაწუხებს. რამდენიმე მოთამაშეს აქვს მცირე პრობლემა, მაგრამ სათამაშოდ ყველა მზადაა.

4 საკუთარ დარბაზში მეტი მატჩის გამართვა, როცა გულშემატკივართა უმეტესობა ჩვენს მხარესაა, რა თქმა უნდა, დადებითი მომენტია, მაგრამ მთლიანობაში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება. ასეთი უპირატესობა ჩვენი კარგი თამაშით უნდა მოვიპოვოთ.

5 ჩვენ გვინდა, რომ სამ მატჩამდე გაგრძელდეს, რა თქმა უნდა, „ენერჯი-ინვესტის" სასარგებლოდ. ეს მხოლოდ სურვილია და რეალურად რა იქნება, მალე დავინახავთ. ჩვენ ახლა მხოლოდ კარსმომდგარ მატჩზე ვფიქრობთ და ასე იქნება ყოველი შეხვედრის შემდეგ.

6 დაცვაში ალბათ ჩვენ უფრო კარგად ვირჯებით და შეტევაშიც არ გვაკლია მობილიზება. მეტოქის მთავარი უპირატესობა კი სიმაღლეა. მათიაშვილი, ნინიაშვილი, როდუმტა, იმნაძე, სუხიშვილი, მინაშვილი — ყველა ეს მოთამაშე 2 მეტრზე მაღალია და საქმე ისაა, „ავიამშენი" მათ რამდენად კარგად გამოიყენებს. რა თქმა უნდა, გამოცდილებითაც გვჯობია მეტოქე. ჩვენ გვყავს საკმაოდ ახალგაზრდა ბიჭები, ბესო ლეჟავა კი ფინალს პირველად თამაშობს. სამაგიეროდ, მას და რამდენიმე ჩვენიანს საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში უთამაშია.

7 ჩემს მოთამაშეებს ყველას ბოლომდე ვენდობი. ვინც მოედანზე გავა, დარწმუნებული ვარ, არაფერს დაიშურებს. მეტოქის შემადგენლობაში კი კოტე ტულუშს და გიორგი ნიკოლაძეს გამოვარჩევ.

8 როგორც აღვნიშნე, „ავიამშენს" ბევრი ტანმაღალი მოთამაშე ჰყავს და არც უკანახაზელები აკლია. ჩემი აზრით, ორივეს საკმაოდ ძლიერი და დაბალანსებული შემადგენლობა გვყავს.

9 წაგება? ღმერთმა დაგვიფაროს! ჩვენი მიზანი თავიდანვე ჩემპიონობა იყო და საამისოდ საკმაოდ კარგად ვართ მომზადებულნი. რეგულარულ ჩემპიონატში პირველობა კარგა ხნით ადრე გავინაღდეთ და მას მერე ვემზადებით პლეი ოფისთვის. წაგებაზე წამითაც არ გვიფიქრია.

10 უცხოელი მსაჯების ჩამოყვანა რამდენად შესაძლებელი იყო, არ ვიცი, მაგრამ ქართველი მსაჯების სასაყვედურო არაფერი მაქვს. ნახევარფინალში ობიექტური მსაჯობა იყო, თუმცა შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული. ევროლიგის მატჩებს თვალს ვადევნებ და იქაც არის ხარვეზები. მსაჯები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მათაც შეიძლება, შეეშალოთ.

11 ზოგადად, ფინალში შანსებს თანაბრად ანაწილებენ, მაგრამ მე მაინც ჩვენს გუნდს მივანიჭებდი მცირე უპირატესობას.



## ლევან მოსეშვილი: უპირატესობა რუსთაველებისაა

1 განწყობა კარგი გვაქვს.

2 ვისურვებდი, რომ ფინალური სერიისთვის მოსამზადებლად მეტი დრო გვქონოდა. ჩემმა გუნდმა ნახევარფინალურ სერიაში 5 მატჩი ითამაშა და შესაბამისად მეტოქეზე მეტად გადაღლილებიც ვართ.

3 გუნდის კაპიტანი ირაკლი ხოშტარია ვერ დაგვეხმარება. ალბათ რამდენიმე დღე დასჭირდება სარეაბილიტაციოდ თორნიკე ნინიაშვილს, რომელმაც თსუ-სთან ნახევარფინალური სერიის გადამწყვეტ მატჩში ფეხი იტკინა. ტრავმები მოიშუშეს, მაგრამ ფორმის აღდგენა ესაჭიროებათ გიორგი ნიკოლაძეს, ვახტანგ მინაშვილს და კოტე ტულუშსაც კი, რომელმაც ნახევარფინალურ სერიაში მაღალ დონეზე ითამაშა. ამიტომაც მინდოდა, რომ ფინალური სერია ცოტა მოგვიანებით დაწყებულიყო.

4 მოედნის უპირატესობას კი ექნება მნიშვნელობა, მაგრამ გადამწყვეტი, რა თქმა უნდა, არა.

5 ძნელი სათქმელია.

6 ვერ ვიტყვი.

7 მეტოქეთაგან ზვიად ბაბიაშვილს, ლაშა გამყრელიძეს და იოვან სტეფანოვს გამოვარჩევდი. ჩვენგან კი ძნელია კონკრეტულად ვინმეს დასახელება — ხან ერთი თამაშობს კარგად და ხანაც მეორე. ნამდვილად არ ვიცი, ფინალურ სერიაში ვინ გამოიჩენს თავს.

8 ჩემი აზრით, ორივე გუნდი თანაბრად ძლიერი და დაბალანსებულია.

9 წაგებისგან ტრაგედიას ნამდვილად არ შევქმნით. ამ სეზონში „ავიამშენმა" უკვე მოიგო 2 ტიტული: საქართველოს თასი და ქორქია-საკანდელიძის მემორიალი. ეს შედეგი უკვე საკმარისია და თუკი ჩემპიონებიც გავხდებით, მით უკეთესი.

10 ვენდობი ქართველ მსაჯებს. ვფიქრობ, ისინი თავს კარგად გაართმევენ საკუთარ მოვალეობას.

11 ოდნავი უპირატესობა რუსთაველებს აქვთ.

**ირაკლი პერტაია**

18 მაისი. რუსთავი. 17:00
**ენერჯი-ინვესტი — ავიამშენი**
19 მაისი. რუსთავი. 17:00
**ენერჯი-ინვესტი — ავიამშენი**
22 მაისი. თბილისი. 15:15
**ავიამშენი — ენერჯი-ივენსტი**
*თუ საჭირო გახდა*
23 მაისი. თბილისი
**ავიამშენი — ენერჯი-ინვესტი**
25 მაისი. რუსთავი
**ენერჯი-ინვესტი — ავიამშენი**

# გიორგი ცინცაძე ესტონეთის ჩემპიონობას უახლოვდება



**გიორგი ცინცაძის** „როკი“ წარმატებით მიიწევს ესტონეთის ჩემპიონობისკენ. ტარტუელებმა ფინალური სერიის მეორე შინაური მატჩიც მოუგეს დედაქალაქურ „კალევს“ და 2:0 დაწინაურდნენ.

წინა შეხვედრისგან განსხვავებით ტალინელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს „როკერებს“. მასპინძლებმა ამჯერად 4 ქულით მოგება მოახერხეს, არადა, სერიის პირველ მატჩში „კალევი“ 96:68 დაჯაბნეს.

„როკი“ თავიდანვე საიმედოდ დაწინაურდა, პირველი მეოთხედის შემდეგ 33:16 იგებდა და ალბათ ამ მყისიერი გალიდერების ბრალი იყო, „როკერებმა“ თავს დაარხეინების, მეტოქეს კი წამოწევის უფლება რომ მისცეს. ტალინელებმა მეთოდურად იწყეს სხვაობის გაბათილება და მეტი დრო რომ ჰქონოდათ, ეგებ მატჩი სათავისოდაც შეეტრიალებინათ, მაგრამ...

ქართველმა გამთამაშებელმა ტრადიციისამებრ ყველაზე მეტი, 36 წუთი ითამაშა და 11 ქულას 2-2 ჩაჭრა-პასი და ერთიც მოხსნა მოაყოლა. „როკერთა“ ლიდერი კი ამერიკელი ბრაიან ქუშვორდი შეიქნა, ვინც 34 ქულა და 11 მოხსნა გამოჭედა.

ტარტუელებმა თავიანთი საქმე გააკეთეს, ფინალური სერიის 2 საშინაო შეხვედრა მოიგეს და ახლა ჯერი ტალინელებზეა. სერიის მომდევნო ორი შეხვედრა უკვე დედაქალაქში გაიმართება, რომელთა მოგების შემთხვევაში „როკი“ საჩემპიონო ტიტულს შეინარჩუნებს.

**ირაკლი პერტაია**

## NBA პლეი ოფი. მეორე წრე

# სტუმარ-მასპინძლობა უკუღმა

15 მაისი

**დასავლეთი**

**ნიუ ორლეანი 3:3 სან ანტონიო**

**სან ანტონიო: 99:80 ნიუ ორლეანი**

**სან ანტონიო:** ჯინობილი (25), დანკანი (20 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი), პარკერი (15), უდოკა (13)

**ნიუ ორლეანი:** პოლი (21 ქულა, 8 პასი), ჩანდლერი (14), სტოიაკოვიჩი (13), ვესტი (10)

წლევანდელი პლეი ოფის მეორე რაუნდში დამკვიდრებული რკინის ტრადიცია ვერც ამჯერად გატეხა სტუმარმა გუნდმა. გამარჯვება კვლავ მასპინძლებს დარჩა — „სან ანტონიომ“ დამაჯერებლად აჯობა „ნიუ ორლეანს“, სერიაში ანგარიში 3:3 გაათანაბრა და თავი გადაირჩინა.

მეორე რაუნდის ოთხმა წყვილმა უკვე 21 თამაში მოილია. მათგან მხოლოდ ერთმა, „დეტროიტმა“ შეძლო „ორლანდოს“ სტუმრად ძლევა და სხვებზე ადრეც გავიდა კონფერენციის ფინალში, სხვანი კი საკუთარი მოედნების იმედად მყოფნი ჯარიხრობენ და ამ წყვილშიც ზუსტად ასეა საქმე.

ჩემპიონი „სან ანტონიო“ საბოლოო მარცხთან ერთ ნაბიჯზე იყო მიმწყვდეული, მაგრამ შინ მეექვსე თამაში ისეთი შემართებით დაიწყო, სტუმრებს ნავსის გატეხვის ხალისი თავიდანვე დაუკარგა. ანგარიშის 17:17 გათანაბრების შემდეგ დაწინაურებულ „სფურზს“ უკან აღარც მოუხედავს, პირველი მეოთხედი 36:24 მოიგო და მესამეში საბოლოოდ გატეხა მეტოქე, როცა ერთი ხანობა 24 ქულითაც დაწინაურდა. ჩანს, ნიუორლეანელებს თავადაც არ სჯეროდათ გამარჯვების და სათანადოდ ვერც განეწყვნენ. მესამე პერიოდში „კრაზანების“ ლიდერმა კრის პოლმა ზედიზედ ორჯერ შეტევაში ჯარიმა აიკიდა და ასევე ორჯერ დაჯარიმდა მათი მეორე ვარსკვლავი დევიდ ვესტი. ეს უკანასკნელი საკუთარი თავის აჩრდილად ქცეულიყო და ტიმ დანკანთან დუელში თითქმის არაფერი გამოსდიოდა მაშინ, როდესაც ნიუ ორლეანში გამართულ მეხუთე შეხვედრაში ის ჯარასავით ტრიალებდა და 38 ქულა ჩაუგდო დანკანს. მას არც ჩაუმთავრებია თამაში, მეოთხე მეოთხედის დაწყებიდან მალევე დატოვა მოედანი ზურგის მცირე ტრავმით. ასევე ტრავმა მიიღო კრის პოლმაც, თუმც გულშემატკივრებს დაპირდა, მეშვიდე მატჩისთვის ფორმაში ვიქნებიო.

ახლა რა გამოდის? რაკი სტუმრები გასვლით თამაშებში ისედაც განწირულები არიან, ამ სერიის ბედიც წინასწარაა გადაწყვეტილი? მეშვიდე მატჩი ნიუ ორლეანში იმართება და ჩემპიონიც ან შეცვლის სტუმარმასპინძლობის ერთფეროვან შედეგ-შეხედულებას, ან პლეი ოფს გამოითიშება.

**ვანო ძობიაშვილი**

## ჰოკეი

## პლეი ოფი ნახევარფინალი

# კროსბის მოუგეს და ნაშთაძეს კიდევ

15 მაისი

**დასავლეთი**

**პიტსბურგი 3:1 ფილადელფია**

**ფილადელფია 4:2 პიტსბურგი**

3:0 0:0 1:2

1:0 ლუპული (9), 2:0 ბრიარი (12), 3:0 კარტერი (19), 3:1 სტაალი (44), 3:2 სტაალი (54), 4:2 ლუპული (60)

**წლევანდელი** პლეი ოფის კონფერენციის ფინალებმა მოლოდინი იოტის ოდენადაც ვერ გაამართლა, რადგანაც „დეტროიტიცა“ და „პიტსბურგიც“ ერთი თავით მაღლა დგანან „დალასსა“ და „ფილადელფიაზე“. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ორივე სერია ერთი იგივე სცენარით ვითარდება და ეს სინქრონული სვლა არც გუშინ დარღვეულა — გუშინწინ „დალასმა“ როგორც იქნა, მოიგო ერთი შეხვედრა და მას არც „ფილადელფია“ ჩამორჩა, რომელმაც, ტეხასური გუნდის დარად, თავიდან აიცილა ნულზე წაგება.

არადა, „მფრინავების“ გამარჯვებას ცოტა თუ მოელოდა, რადგანაც წინა სამ შეხვედრაში „პინგვინებმა“ ყველა კომპონენტში დაჩაგრეს მეტოქე. ამის გამო ბევრი ვარაუდობდა, რომ ანტარქტიდის ბინადრები საქმეს მალევე მოათავებდნენ, თუმც „ფილადელფია“ ჯერ დანებებას არ გეგმავს და ბოლომდე ომს აპირებს. თანაც „მფრინავი ესკადრილია“ თურმე გვარიანად გაულიზიანებია საგაზეთო სტატიებს, რომლებშიც „პიტსბურგს“ სტენლის თასის ფინალში გასვლას ნაადრევად ულოცავდნენ.

„რა თქმა უნდა, საწყენია, არაფრად რომ არ გაგდებენ... ჩვენც კარგი გუნდი ვართ და დღეს ყინულზე ამის დასამტკიცებლად გავედით. მათ კიდევ გავაწვალებთ“ — საომრად არის შემართული „ფილადელფიის“ ლიდერი მაიკ რიჩარდსი, რომელმაც გუშინ მთელი შეხვედრის განმავლობაში ხელის განძრევის საშუალება არ მისცა სიდნი კროსბის, მატჩის მიწურულს კი ერთი-ორი წამოუთაქა კიდეც.

**კახა ლომაშვილი**

## ჭადრაკი

## M-TEL მასტერსი

სოფია. ბულგარეთი. 7-18 მაისი

VII ტური

| | | |
|---|---|---|
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 1:0 | ბუ ქსიანცჟი (ჩინეთი) |
| ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |

# ტოპალოვი სასწაულის მოლოდინში

**ვესელინ ტოპალოვმა** ვასილ ივანჩუკს ყაიმით დაუსრულა პარტია და მეორე ადგილზე დარჩა. არადა რომ მოეგო, კონკურენტს დაეწეოდა და პირველობისთვის უფრო თამამად იბრძოლებდა. ტურნირის მოსაგებად ბულგარელს ახლა ყველა პარტიის მოგება მართებს, ამასთან უკრაინელმა 1,5 ქულა უნდა დაკარგოს, რაც ნაკლებად რეალურია.

ივანჩუკმა პარტია ლაზიერის გამბიტით დაიწყო, მე-10 სვლაზე მეფე საიმედოდ გადამალა და მარცხენა მხრიდან მძიმე ფიგურები იერიშისთვის დაქოქა. ტოპალოვმაც ამ ფლანგზე გადმოიტანა ყურადღება, ძირითადი არმია აქეთ გადმოსხა და დასახვედრად მოემზადა. უკრაინელი მიხვდა რომ შეტევით არაფერი გამოუვიდოდა, ჯარი უკან დახია და საკუთარი ტერიტორია საიმედოდ გაამაგრა. მე-40 სვლაზე ტოპალოვმა ივანჩუკს ეტლებით დაარტყა, თუმც მის სიმაგრეს ვერაფერი ავნო და 9 სვლაში ყაიმზე დათანხმდა.

თეიმურ რაჯაბოვმა თეთრებით ბოლოადგილოსანი ბუ ქსიანცჟი 41-ე სვლაზე დააშამათა და მეოთხე ადგილზე ასკუპდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | |
|---|---|
| 1. ვასილ ივანჩუკი | 6 |
| 2. ვესელინ ტოპალოვი | 5 |
| 3. ივან ჩეპარინოვი | 3,5 |
| 4. თეიმურ რაჯაბოვი | 3,5 |
| 5. ლევონ არონიანი | 2 |
| 6. ბუ ქსიანცჟი | 1 |

# ნახევარფინალი ლვოვმა გაიფორმა


გატა კამსკი

**მსოფლიოს** ჩემპიონატის სანახევარფინალო მატჩს, რომელშიც გატა კამსკი და ვესელინ ტოპალოვი ითამაშებენ, უკრაინული ლვოვი უმასპინძლებს. პარტიები 26 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე გაიმართება, გამარჯვებული კი ფინალში ვლადიმირ კრამნიკსა და ვიშვანათან ანანდს შორის მოგებულს შეხვდება. მატჩის საპრიზო ფონდი 750 ათასი დოლარი იქნება.

„თანხა უკვე გადარიცხულია ლოზანაში და ყველანი თამაშს ველოდებით“ — განაცხადა კამსკის მენეჯერმა ალექსანდრ ჩერნენკომ — „ახლა კი გატას უნდა მივეხმარო, ამ მატჩისთვის იგი სერიოზულად უნდა მოემზადოს.“

## სუმო

# კოკაის ექვსიდან ექვსი მარცხი

**მაისის** ბაშოზე უძლეველთა სიას დასავლეთის მე-5 მაეგაშირა ტოიონოსიმა გამოაკლდა. მან აღმოსავლეთის მე-7 მაეგაშირა ტაკამისაკარისთან წააგო. ამჟამად ექვსიდან ექვსივე გამარჯვება იოკოძუნა ჰაკუჰოს და ოძეკი კოტოოსიუს დაუგროვდათ. ხაკუხომ ცუკიდასით დაამარცხა დასავლეთის მეორე მაეგაშირა ბაკანოხო, ხოლო კოტოოსიუმ იორიკირით სძლია პირველ მაეგაშირა ბალტს. დიდ ჩემპიონ ასასორიუს კი ბაშოს პირველ ჯახში დაუცდა ფეხი, თორემ აგერ უკვე მეხუთე შეხვედრაა, მოწინააღმდეგეებს დამაჯერებლად ანადგურებს. ამჯერად იოკოძუნა ასასორიუმ იორიკირით მე-2 მაეგაშირა კეკუტენხოს მოუგო.

სამწუხაროდ, მეექვსედ დამარცხდა ლევან ცაგურია. აღმოსავლეთის პირველმა მაეგაშირა კოკაიმ ხატაკიკომით დასავლეთის მესამე მაეგაშირა კაკუსიოსთან წააგო. „შავი ზღვა“ უფრო და უფრო შორდება მაისის ტურნირზე დადებითი ბალანსის მოპოვების შესაძლებლობას.

კიდევ ერთმა ქართველმა, ტოჩინოშინად წოდებულმა ლევან გორგაძემ ვერაფერი მოუხერხა თავის მეტოქეს. მაკუჩი დივიზიონის დებიუტანტი ილეთ ცუკიოტოსით დამარცხდა დასავლეთის მე-15 მაეგაშირა ტოიოხიბიკისთან. ტოჩინოშინს ექვსიდან სამი მარცხი მოუგროვდა.

მომდევნო შეხვედრებში ლიდერები, ჰაკუხო და კოტოოსიუ, შესაბამისად, მესამე მაეგაშირა მიაბიამას და კომოსუბი კისენოსატოს შეხვდებიან. ასასორიუ მესამე მაეგაშირა კაკურიუს დაუპირისპირდება. კოკაი შეეცდება, კომუსუბი ასასეკირიუს მოუგოს, ხოლო ტოჩინოშინი თავის მე-7 შეხვედრას აღმოსავლეთის მე-15 მაეგაშირა ხაკუროსანთან გამართავს.

**ზურაბ მიგრიაული**

ძიუდო

# ახალგაზრდულად, ჩხუბით


მძიმეწონოსანთა პოდიუმი

**15-16 მაისს** არმიის სპორტულ კლუბის დარბაზში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდა ძიუდოისტებს შორის. შეჯიბრებაში 14 რეგიონის 230 მოჭიდავე მონაწილეობდა. ძიუდო ხომ საქართველოს ყველა რეგიონშია განვითარებული, მაგრამ ამ ჩემპიონატზე მხოლოდ 5 გამორჩეულ რეგიონს (თბილისი, კახეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი) ჰქონდა წონაში ოთხ-ოთხი სპორტსმენის გამოყვანის უფლება. ოთხ რეგიონს წონაში ორი წარმომადგენელი ყავდა და ოთხიც თითოთითოთი წარდგა ტურნირზე.

ჩემპიონატი დაძაბულად და სანახაობრივად წარიმართა. მეორე დღეს მოხდა საჩოთირო ინცინდენტი. ერთ-ერთი მოჭიდავის გულშემატკივარმა მსაჯს შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც თავად ჩხუბის მიზეზი მოჭიდავე დისკვალიფიცირებული იქნა.

ჩემპიონატის პირველ დღეს 55, 60, 66 და 73 კგ წონით კატეგორიებში ჩატარდა ორთაბრძოლები. 16 მაისს კი 81, 90, 100 და მძიმე წონით კატეგორიებში გაირკვა ჩემპიონ-პრიზიორები.

ტურნირის დასრულების შემდეგ ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბორის ფირცხელიანს ვთხოვეთ კომენტარი — „შეჯიბრება ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა, სამწუხაროდ დღეს მომხდარმა ინცინდენტმა თავისი კვალი დაატყო ასპარეზობას, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც კმაყოფილი ვარ. გაიმარჯვა თითქმის ყველა ფავორიტმა. 73 კგ-ში სასიამოვნოდ გაგვაოცა ავთანდილ ჭრიკიშვილმა. იგი ყველასთვის მოულოდნელად გახდა ჩემპიონი. ამ ტურნირის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც 25 ივლისიდან ვარშავაში მსოფლიოს თასზე იჭიდავებს. პოლონური ტურნირი კი თავის მხრივ მოსამზადებელი ეტაპია სექტემბრის შუა რიცხვებში ჩასატარებელი ევროპის ჩემპიონატისთვის."

**ზურაბ მიგრიაული**

55 კგ
1. გიორგი ბროლაშვილი
2. ოთარ კაიდარაშვილი
3. ამირან თამლიანი
3. რევაზ კიკვაძე

60 კგ
1. პაატა მერებაშვილი
2. მიხეილ მეკოკიშვილი
3. გიორგი გუჯეჯიანი
3. ანდრია პირველაშვილი

66 კგ
1. ზებედა რეხვიაშვილი
2. ოლეგ აფაქიძე
3. დავით მირგატია
3. შალვა ქარდავა

73 კგ
1. ავთანდილ ჭრიკიშვილი
2. ლევან ნახუცრიშვილი
3. მერაბ ფსარაული
3. გიორგი დეაშვილი

81 კგ
1. ზაზა დავაძე
2. არჩილ შინჯიკაშვილი
3. ოთარ ტვილდიანი
3. შოთა ვანიშვილი

90 კგ
1. ბექა ნავერიანი
2. ლევან ნოზაძე
3. გიორგი ეპიტაშვილი
3. ბექა ბერძენიშვილი

100 კგ
1. კონსტანტინე მუკვანი
2. გიორგი ბოლოთაშვილი
3. სანდრო თევდორაშვილი3.
3. ლაშა გურული

+100 კგ
1. ლევან მუქერია
2. ვანო გოგოლაშვილი
3. ვაჟა დაბრუნდაშვილი
3. ზაზა ბალაშვილი

ფრენბურთი

# საქა-რთველოსთვის სამხრეთ კორეა დასრულდა

**პლაჟის** ფრენბურთში ჩვენი ქალთა წყვილისთვის საქა და რთველოსთვის სამხრეთკორეული ეტაპი ძირითად ბადეში მეორე წაგებით დასრულდა, თუმც ჩვენებს საოლიმპიადო საგზურის მოპოვების შანსი კიდევ დარჩათ.

შეგახსენებთ, რომ ქართულპასპორტიანმა ბრაზილიელმა ანდრეზამ და ქრისტინამ, იგივე საქამ და რთველომ გუშინდლამდე საკვალიფიკაციო და ძირითად ბადეში ორ-ორი მოგება მოიპოვეს. ქართულმა წყვილმა ოთხ მოგებას ერთი წაგებაც გაურია, მაგრამ რადგან პლაჟის ფრენბურთში ძირითად ბადეში ერთი წაგება გეპატიება, ჩვენებმა ბრძოლა განაგრძეს, თუმც ესეც დროებითი აღმოჩნდა, რაკი საქა-რთველომ მეოთხედფინალში გასასვლელი მატჩი ბერძნებთან, კარანტისისთან და ავენტისთან ერთ საათში 1:2 წააგეს და ტურნირს გამოეთიშნენ.

მარცხის მიუხედავად, საქა და რთველომ 2500 სარეიტინგო ქულა მოიპოვეს და პეკინის ოლიმპიადაზე წამსვლელთა ზონასთან ტრიალებენ. ოლიმპიადამდე კი კიდევ სამი ტური დარჩა.

**ბაჩო სვანიძე**

მშვილდოსნობა

# დიასამიძემ პეკინის ბოლო შანსი დაკარგა

**საფრანგეთში** მიმდინარე მშვილდოსანთა ევროპის ჩემპიონატი ქართველი მოისრეებისთვის ნაადრევად დასრულდა. ტურნირი ქალაქ ვიტელში მიმდინარეობს და მასში საქართველოს ნაკრების სამი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ხათუნა ნარიმანიძემ, ქრისტინა ესებუამ და ასმათ დიასამიძემ საკვალიფიკაციო ეტაპი კი დაძლიეს, მაგრამ შემდეგ უკვე გამოეთიშნენ ტურნირს. დიასამიძემ მხოლოდ ძირითადი ბადის პირველი წრე გაიარა. იგი მეთექვსმეტედფინალში სომეხ გოჰარ შაჰნაზარიანთან დამარცხდა — 97:104. საქმე ისაა, რომ დიასამიძე ოლიმპიური საგზურის აღებას ცდილობდა, მაგრამ ნაადრევი წაგების გამო საწადელს ვერ მიაღწია.

მეთექვსმეტედფინალში დამარცხდა ხათუნა ნარიმანიძეც. ქრისტინა ესებუა კი შეჯიბრებას ოცდამეთორმეტედფინალში გამოეთიშა.

ევროპის ჩემპიონატი ოლიმპიადის ლიცენზიების გამცემი ბოლო ტურნირი იყო. ნარიმანიძე და ესებუა კი მიემგზავრებიან პეკინში, მაგრამ, სამწუხაროდ, დიასამიძემ საბოლოო შანსი გაუშვა ხელიდან.

**ზურაბ მიგრიაული**

ჩოგბურთი

# გერმანული მიწა რუსებს არ სწყალობს

| კაცები |
|---|
| მასტერსი. ჰამბურგი. თიხნარი |
| საპრიზო 2 270 000 ევრო |

**მესამე წრე**

რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — ენდი მიურეი (15, ბრიტანეთი) 6:3 6:2; ნიკლას კიფერი (გერმანია) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 7:5 6:3

**მეოთხედფინალი**

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:3 6:3; ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:2 6:3

| ქალები |
|---|
| რომი. იტალია. თიხნარი |
| საპრიზო 1 340 000 დოლარი |

**მესამე წრე**

ალიზ კორნე (საფრანგეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) 6:2 6:4; ვინუს უილიამსი (7, აშშ) — ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) 7:5 6:2; მარია შარაპოვა (2, რუსეთი) — კაროლინ ვოზნიაკი (დანია) 6:4 7:6

**მეოთხედფინალი**

ანა ჩაკვეტაძე (6, რუსეთი) — ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) 6:2 3:6 6:1

**ჟუსტინ ენინის** ჩოგბურთიდან წასვლისა და ანა ივანოვიჩის რომის ტურნირის პირველი წრიდან გავარდნის შემდეგ მარია შარაპოვამ ტოპმეჩოგნის სტატუსი დაიბრუნა — ორშაბათიდან რეიტინგს ისევ რუსი პრიმა ჩაუდგება სათავეში. მაშა ამ მწვერვალზე ერთწლიანი შესვენების შემდეგ ბრუნდება — ბოლოს რეიტინგის უმაღლესი საფეხური 2007 წლის მარტში ეპყრა, თუმც თავად რუსი ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს:

„ადრეც არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ სულერთია, პირველი ვიქნები თუ მეხუთე. ჩემთვის მთავარი ყოველი კონკრეტული მატჩის მოგებაა და ამაზე შორს იშვიათად ვიყურები ხოლმე."

რომში კი შარაპოვამ მეოთხედფინალს უწია, რისთვისაც კაროლინ ვოზნიაკის დამარცხება დასჭირდა. მაშა თავისთვის ყველაზე უხერხულ საფარს ნელ-ნელა ეგუება და აშკარად მეტი თვითრწმენით თამაშობს, რაც იმას ნიშნავს, რომ „როლან გაროსზე" ის ფავორიტთა შორის იქნება.

ტურნირის მთავარი სენსაცია კი სვეტლანა კუზნეცოვას მარცხი გახლდათ, რომელიც თინეიჯერმა ფრანგმა ალიზ კორნემ ორ სეტში მიჩოგნა. გალმა უშანსოდ დატოვა გამოცდილი რუსი, რომელიც ბოლო კვირებია, ნამეტანი უხეიროდ ირჯება.

ერთი მოულოდნელობა ჰამბურგის მასტერსზეც მოხდა. ნიკლას კიფერი აგრძელებს თანამემამულე მაყურებლის გახარებას. გერმანელს ამჯერად ტურნირის მეოთხე ნომერი ნიკოლაი დავიდენკო შემოებდლვნა, რასაც მან მხოლოდ საათ-ნახევარი მოანდომა.

რაფაელ ნადალმა ოდნავადაც არ დაინდო ენდი მიურეი — არადა, ბრიტანელს დაბადების დღე ჰქონდა (21 წლის გახდა) და ეგებ საჩუქარსაც მოელოდა. თუმც გოროზი ესპანელის გული ვერც ამან მოალბო და იუბილარს თიხნარზე თამაშის მასტერ-კლასი ჩაუტარა.

ნახევარფინალში არიან როჯერ ფედერერი და ნოვაკ ჯოკოვიჩიც. თანაც ორივემ ესპანელი დაჩაგრა შვეიცარიელმა ფერნანდო ვერდასკოს გამოუყვანა წირვა, სერბმა კი ალბერტ მონტანიესს გაუშვა გერმანული საპორტო ქალაქიდან.

**ქახა ლომჯაშვილი**

ფეხბურთი

**ინგლისი**

პირველი ლიგა. პლეი ოფი
1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი
*დონკასტერი* 5:1 საუთენდი (0:0)

**გერმანია**

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXXV ტური
ვუპერტალი 1:1 დინამო

სამხრეთ რეგიონალლიგა
XXXII ტური
კიკერსი 2:0 უნტერჰახინგი
ზიგენი 1:0 ბურგჰაუზენი

**საფრანგეთი**

მეორე დივიზიონი
XXXVIII ტური
აიაჩო 1:1 დიჟონი
ამიენი 4:4 გენიონი
ანჟერი 0:0 ბრესტი
ბულონი 1:0 ნიორი
შატორუ 1:0 კლერმონი
გენგამი 5:0 ტრუა
ლე ავრი 6:0 ბასტია
მონპელიე 5:0 ლიბურნი
რეიმსი 3:3 ნანტი
სედანი 2:1 გრენობლი

**ირლანდია**

პრემიერლიგა. XI ტური
დერი 1:0 კობი
დროჰედა 2:2 სენტ პატრიკსი
დუბლინი 0:1 გალვეი
ფინ ჰარპსი 1:1 შემროკი

**ნორვეგია**

ტიპელიგა. VII ტური
ბოდიო გლიმტი 2:0 ტრომსიო
ფრედრიკსტადი 5:0 ალესუნდი
ლინი 0:2 სტაბეკი
მიოლდე 2:3 ვიკინგი
რუსენბორგი 4:0 ლილესტრიომი
ბრანი 1:0 ვოლერენგა

I დივიზიონი. VII ტური
ბრინი 1:0 სპარტა
ჰაუგესუნდი 3:1 ჰიოდი
მოსი 2:1 ტრისილი
ოდ გრენლანდი 3:1 ლოვ ჰამი
სანდეფიორდი 2:1 ალტა
სანდნესი 1:2 ჰიონეფოსი
სტარტი 2:0 კონგსვინგერი

**ავსტრია**

I დივიზიონი. XXXIII ტური
შვადორფი 1:3 კაპფენბერგი
ავსტრია (ლ) 3:1 ბად აუზეე
გრატკორნი 1:3 ზალცბურგი (მ)
კერნტენი 2:0 პარნდორფი
ლეობენი 1:1 ლუშტენაუ
შვანენშტადტი 0:2 ავსტრია (მ)

**თურქეთი**

გადასასვლელი პლეი ოფი
საძარია 2:2(პენ.1:3) *ბოლუსპორი*
*ალტინორდუ?* 0:0(პენ.6:5) დიარბაქირი

**რუსეთი**

პრემიერლიგა. XI ტური
ხიმკი 2:2 ლოკომოტივი
დინამო 2:1 ტერეკი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge